



იმისთანა წმინდა საძმეში, ბოგბილ ბუქ-
უბი სიფყავა, ცუდილებით და ჭბრბით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯარბისბაზუ უსაბაგლსია.

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 5 ივნისი. 2019 წ. №112 (8778)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი




ნ. 3-4 გვ.

თეგურ ბასილია: სააკაუვილის დავალებით დაიიკავურიდნენ, სხინვალუი ოკერასიებს ვიწყებთ და ფინანსური დახმარება გვჭირდება...

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა დღეს ვაშინგტონში ერთ-ერთ ლონისძიებაზე, სადაც მეც ვმონაწილეობდი, იყო ჩამოსული საქართველოს სამთავრობო დელეგაცია, ძირითადად, მინისტრის მოადგილეებით დაკომპლექტებული და ეს ადამიანები მოუთმენლად ელოდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვებას და ღიად ლაპარაკობდნენ ამაზე. მეორე დღეს ისევ იყო ლონისძიების გაგრძელება და ეს ხალხი იქ ცხვირჩამოშვებული და ნანყენი დადიოდა, რომ არჩევნები „ოცნებაში“ მოიგო.

ქათა გამცოცხრებელი

მეარაბ
ბერკანიშვილი



90

საგულაგოდ - 5 ერის ისტორიაში

ნატია მოისნრაფიშვილი: საზღვრის დადგენასთან დაკავშირებით პრეზიდენტის განცხადება ყველასთან უთანხმოებულ იყო



საქართველოს პრეზიდენტის ყველა აქტივობა, ყველა მოლაპარაკება ყოველთვის არის კანონთან სრულ შესაბამისობაში და შეთანხმებული შესაბამის უწყებებთან, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის პრეს-პიკერმა ნატია მოისნრაფიშვილმა განუცხადა ჟურნალისტებს კითხვაზე, პრეზიდენტის განცხადებები საზღვრის დადგენასთან დაკავშირებით შეთანხმებული იყო თუ არა პრემიერ-მინისტრთან.

„საქართველოს პრეზიდენტის სახელით მიწა და გადასტუროთ, რომ ყველა აქტივობა, ყველა მოლაპარაკება ყოველთვის არის კანონთან სრულ შესაბამისობაში და შეთანხმებული შესაბამის უწყებებთან. ეს განცხადება იყო შეთანხმებული პრემიერ-მინისტრთან“, - განაცხადა ნატია მოისნრაფიშვილმა.
საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მიმდინარე წლის თებერვალში, ბაქოში, აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ საქართველო-აზერბაიჯანის ერთობლივი საზღ-

ვარი, საბოლოოდ უნდა დადგინდეს. „ჩვენი მეგობრობიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, რომ უნდა მივცეთ საზღვრის სადელიმიტაციო კომისიას მითითება, განაახლონ მუშაობა და ეს სამუშაო ბოლომდე მივიყვანოთ. საბოლოოდ დავადგინოთ ჩვენი ერთობლივი საზღვარი, რომელიც უნდა იყოს გამაერთიანებელი და არა გამიჯვნის საზღვარი. ნორმალურია, რომ გამომდინარე ჩვენი მეგობრული ურთიერთობებიდან, ეს საკითხი ამდენი წლის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს დასრულდეს“, - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

პაატა ნასვლიშვილი:

პირველი ინტერვიუ ჟურნალისტისთვის ისტორიაში... ქართულია!

საქართველოს ცოტა როდი აქვს საამაყო მეცნიერებისა თუ ხელოვნების ამა თუ იმ დარგში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, მაგრამ სპეციალისტებისთვისაც კი სრულიად მოულოდნელი იყო, როცა „ვიკიპედიაში“ სტატიაში, რომელიც ჟურნალისტურ ინტერვიუს ეხება, გაჩნდა ასეთი ჩანაწერი:
„თუმცა ჟურნალისტიკაში ინტერვიუ 1850-იანი წლებით თარიღდება, პირველ ცნობილ ინტერვიუდ, რომელიც შეესაბამება ინტერვიუს, როგორც ჟანრის მატრიცას, ითვლება გამოჩენილი ქართველი რელიგიური მოღვაწის, დიპლომატის, მწერლისა და მოგზაურის, არქიეპისკოპოს ტიმოთე გაბაშვილის (1704-1764) ინტერვიუ, რომელიც მან ჩამოართვა სახელგანთქმულ ბერძენ ლეთისმეტყველს,

ათონის სახელგანთქმული მართლმადიდებლური სკოლის რექტორს ევგენიოს ბულგარისს (1716-1806)“.
იქვე მითითებული სქოლიოთი ირკვევა ამ მნიშვნელოვანი ჩანაწერის წყაროც. ეს გახლავთ „ევროპის სამეცნიერო ჟურნალში“ 2013 წლის დეკემბერში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული სტატია „ინტერვიუს, როგორც ჟანრის გენეზისისათვის“, რომლის ავტორია ცნობილი ჟურნალისტი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პაატა ნაცვლიშვილი.
ეს სტატია მსოფლიოში პირველი ჟურნალისტური ინტერვიუს აღმოჩენას ეხება და გახლავთ ნაწილი პაატა ნაცვლიშვილის სადოქტორო დისერტაციისა „ქართული ჟურნალისტიკის გენეზისისათვის“, რომელიც მან წარმატებით დაიცვა 2009 წელს. დისერტაციის ეს ერ-

თი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი ავტორმა მოხსენებდა წაიკითხა 2009 წლის 25 დეკემბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გიორგი მთაწმინდელის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე. მოგვიანებით მისი შემოკლებული ვარიანტი გამოქვეყნდა ჟურნალში „უფლის ციხე“ (2012, № 2, „ძველი ტექსტი ახალი თვლით“). შემდეგ კიდევ უფრო შემოკლებული ვერსია ავტორმა წარადგინა 2013 წელს თბილისში გამართულ ევრაზიის მულტიდისციპლინარულ ფორუმზე. სწორედ ამ საერთაშორისო კონფერენციაზე წარდგენილი ტექსტი გამოქვეყნდა იმავე წელს დიდად ავტორიტეტულ გამოცემაში „ევროპის სამეცნიერო ჟურნალში“.
ჩვენი გაზეთის მკითხველს ვთავაზობთ „ვიკიპედიაში“ დამონებული ამ სტატიის ქართულ ორიგინალს.



ნ. 6-7 გვ.



თაა წულუკიანი: დღეში ასეულობით კიბერშეტევის მოგერიება ხდება!

საძარტველში განვითარებულია ინფორმაციული ტექნოლოგიები, ელექტრონული სერვისები და ელექტრომმართველობის არაერთი კომპონენტი, რაც მისაბაძია სხვა ქვეყნებისთვის, – ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თაა წულუკიანმა განაცხადა.

მისი თქმით, შესაბამისად გამომწვევებიც მაღალია. „გამომწვევებიც არის უფრო მაღალი, ვიდრე ეს იქნებოდა, ჩვენ რომ ისევ ვმუშაობდეთ მხოლოდ ქალაქებით. მსგავსი გამომწვევა დგას ძალიან ბევრ სხვა ქვეყანაში. მთავარია, ამ გამომწვევას თვალის გადევნებით და გვერდებს ინსტრუმენტები კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და საფრთხის პრევენციისთვის. მინდა, დაგარწმუნოთ, ასეულობით კიბერშეტევის მოგერიება ხდება დღეში საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან და პრევენციის რეჟიმში ამ შემთხვევების მცდელობებზე რეაგირება, მათ შორის, იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ. რა თქმა უნდა, შემოტევის ახალ-ახალი მეთოდებს იგონებს ესა თუ ის მაღალკვალიფიციური პროფესიონალი, რომელიც ამავე დროს, პოტენციური დამნაშავეა...“ – მინისტრის თქმით, ასეთ შემთხვევებთან ბრძოლის ინსტრუმენტები კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს და დაიხვეწოს.

თბილისში კიბერუსაფრთხოებასთან და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებული რეგიონული კონფერენცია გაიმართა.

გიორგი კაკაურიძე: 2018 წელს საგადასახადო შემოსავლების გაზრდა გადამწყვეტი პასუხისმგებელია



2018 წელი ჩვენი ეკონომიკისთვის, მათ შორის ბიუჯეტის ნაწილში ძალიან მნიშვნელოვანი იყო, – ამის შესახებ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი კაკაურიძემ განაცხადა. საპარლამენტო კომიტეტში 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების საკითხის განხილვა გუშინ დაიწყო. როგორც კაკაურიძემ უფრო

ნაღისტებს განუცხადა, გასულ წელს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 4,7 პროცენტით იყო, ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალი.

„საბოლოო ჯამში, პარამეტრები იყო უფრო მაღალი, ვიდრე თავდაპირველად დაიგეგმა, რამაც ბიუჯეტში დამატებით საგადასახადო შემოსავლები მოგვცა. წლის განმავლობაში საგადასახადო შემოსავლების გეგმა 240 მილიონი ლარით გაიზარდა და ეს გეგმაც გადაჭარბებით შესრულდა. ასევე, საკმაოდ მაღალი იყო ხარჯვითი ნაწილის შესრულება, რამაც 100,8 პროცენტი შეადგინა. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2018 წელს დაგეგმილი ყველა ღონისძიება შესრულდა“, – განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ.

სახელმწიფო ავტოპარკის მოხელეებს პირადი ავტომობილი და მძღოლი არ უნდა მოეხსახურეთ?

საძარტველში სახელმწიფო ავტოპარკის მართვა ხდება გასული საუკუნის მეთოდებით და თანამედროვე გამოწვევებს ვერ პასუხობს, – ამის შესახებ „გადასახადის გადამხდელთა კავშირის“ განცხადებაშია აღნიშნული, რომელიც ორგანიზაციამ გუშინ გაავრცელა. კავშირი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ავტოპარკის მართვის მეთოდები უნდა შეიცვალოს.

„გადასახადის გადამხდელთა კავშირი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ხარჯების მონიტორინგი უნდა გაგრძელდეს, თუმცა საჭიროა, ასევე, ვიფიქროთ მისი ეფექტიანობის გაზრდაზე. საქართველოში სახელმწიფო ავტოპარკის მართვა ხდება გასული საუკუნის მეთოდებით და ის ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს.

კერძოდ, განვითარებული და მათ შორის, მდიდარი ქვეყნების მთავრობები დიდი ხანია, გადავიდნენ ავტოპარკის გაზიარების (ე.წ. carpooling) სისტემაზე, რომელიც ამცირებს სახელმწიფო ავტოპარკის შენახვის ხარ-



ჯებს, აუმჯობესებს მონიტორინგის ხარისხს და დადებითად მოქმედებს გარემოზე. ასეთ სისტემაში სახელმწიფო მოხელეებს არ ემსახურებათ პირადი ავტომობილი და მძღოლი. მათ ტრანსპორტირებით უზრუნველყოფენ საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტით“, – აცხადებს „გადასახადის გადამხდელთა კავშირი“.

ორგანიზაცია განმარტავს, რომ ამ მოდელით განმონაკლის წარმოადგენენ მხოლოდ მაღალი და განსაკუთრებული სტატუსის მქონე თანამდებობის პირები.

„საქართველოს მთავრობამ, სახელმწიფო ხარჯების შემცირების მიზნით, რაც შეიძლება მაღე უნდა დაიწყოს აღნიშნული სისტემის ცვლილებაზე მუშაობა და გაიზიაროს საზღვარგარეთის წარმატებული მაგალითები“, – ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში და აღნიშნულია, რომ გადასახადის გადამხდელთა კავშირი მზად არის, საკითხის განხილვაში ჩაერთოს.

ქობულეთში სერიოზული ინფრასტრუქტურული პროექტები სრულდება

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ქობულეთში დასრულებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნო. ხუცუბანში 2,2 კმ. ასფალტ-ბეტონის საფარი მოენყო. პროექტის ღირებულება 1034 000 ლარს შეადგენს.

მიმდინარე წელს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაახლოებით 10 მილიონი ლარის სამუშაოებს განახორციელებს. მოენყობა 15 კმ. სიგრძის ასფალტბეტონის საფარი, 24 კმ. სიგრძის ბეტონის საფარი და აშენდება 7 ახალი ხიდი. თორნიკე რიჟვაძე ხუცუბანის ცენტრის მოწყობის სამუშაოებს გაეცნო. სოფლის ცენტრის კეთილმოწყობისთვის ბიუჯეტიდან 395 645 ლარია გამოყოფილი. პროექტის მიხედვით დეკორატიული ფილებით მოპირკეთდება ტროტუარები, მოენყობა მწვანე ზოლი და შეიცვლება გარე განათების სისტემა. განახლდება რაგბის მოედნი და მოენყობა 2 ახალი მოსაცდელი.



რამდენი დახარჯვა მთავრობამ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მხსოვრებით სამედიცინო დახმარებაზე

საძარტველს ცენტრალურმა ხელისუფლებამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა სამედიცინო მომსახურებაზე „სახელმწიფო რეფერალური პროგრამის“ ფარგლებში 7 მილიონამდე ლარი დახარჯვა, – ამის შესახებ ნათქვამია პარლამენტისადმი პრემიერ-მინისტრამაჟა ბახტაძის მოხსენებაში.

„გრძელდება ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის უფასო სამედიცინო მომსახურება „სახელმწიფო რეფერალური პროგრამის“ ფარგლებში, ასევე აფხაზეთის რეგიონისთვის სხვადასხვა მედიკამენტების რეგულარულად მიწოდება. 2018 წელს საქართველოს მთავრობის მიერ ჯანდაცვის კომპონენტზე დახარჯულმა თანხამ შეადგინა დაახლოებით 7 მილიონი ლარი“, – ნათქვამია მოხსენებაში.

ამავე ანგარიშის თანახმად, აფხაზეთის რეგიონს რეგულარულად გადაეცემა ვეტერინარული ვაქცინები: „2018 წელს აფხაზეთის რეგიონს ასევე გადაეცა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის შესაწამლი ტექნიკა, ფერომონები, სპეციალური აღჭურვილობა და საჭირო პესტიციდები, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 600,000 ლარზე მეტი. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ხელშეწყობის მიზნით, აფხაზეთის რეგიონს რეგულარულად გადაეცემა ვეტერინარული ვაქცინები“.

გიბა ბოქარიანი პარტნიორთა წრის გაფართოების აუცილებლობაზე საუბრობს და მისაღებ პარტნიორებად ირანული ალსანანის და დავითი უსუფაშვილს ასახელებს. „ევროპული საქართველოს“ ლიდერი აზუსტებს, რომ მოლაპარაკებები ამ ორ პოლიტიკურ ძალასთან დაწყებულია, თუმცა შედეგად არ ჰქონია ირაკლი ალასანისთან, რომელსაც ამ ეტაპზე პოლიტიკური განცხადება არ გაუკეთებია, გარდა იმისა, რომ შუალედურ არჩევნებზე მხარი უზღვევს შავპულიმის დაუჭირა.

„ევროპული საქართველო“ პარტნიორთა წრეს აფართოებს. პოლიტიკური პარტნიორები „თავისუფალი საქართველო“ და „შენების“ მოძრაობა იქნება. ამ ეტაპზე სხვა პოლიტიკურ ძალასთან ბლოკის შექმნა არ იგეგმება, თუმცა ანალიტიკოს დავითი უსუფაშვილის განცხადებით, ამ გაერთიანებას გაუჭირდება ქართულ პოლიტიკურ ველზე შემოვიდეს როგორც მესამე პოლიტიკური ძალა. როგორც ზარდიაშვილი ამბობს, „ევროპულ საქართველოს“ თავისი ჩამოყალიბებული ამომრჩეველი ჰყავს ძველი ხელისუფლების დროიდან, რაც დღემდე შენარჩუნებული აქვს გარკვეული რესურსის ხარჯზე.

„ამ გაერთიანებისგან“ არ ველოდები მესამე პოლიტიკურ ძალას. რაიმე სიახლე ამ გაერთიანებაში არ არის. ვი-

„გეაქვება, ნაყოფიერი გახდას „ევროპული საქართველოს“ ბრძოლა მესამე პოლუსის შესაქმნელად“

ციტ „შენების“ მოძრაობაც, „ევროპული საქართველოც“ და „თავისუფალი დემოკრატიების“ ბოლო ნაბიჯებიც გვინახებს იმას, რასთან გვაქვს საქმე. დაახლოებით ვიცით თითოეულის რეიტინგიც. „ევროპულ საქართველოს“ ხელი-სუფლებამ უიფონის პერიოდის შემარჩუნებელი აქვს პარტიული სტრუქტურები და გარკვეული გავლენის ხალხიც ჰყავს და რესურსიც აქვს.

დანარჩენი ორი ძალა პოლიტიკური „გვამები“ არიან, ვიდრე პარტიები. არავითარი რესურსი მათ არა აქვთ. ეს იქნება „ევროპული საქართველოს“ გარშემო გაერთიანებული ახალი კლიენტურა. ხელოვნური გაერთიანება გვი-

ნახავს, როცა არც ერთი სოციალური ჯგუფის ინტერესებს არ გამოხატავს“, – აღნიშნა Fore.ge-სთან საუბრისას დავითი ზარდიაშვილმა.

ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში გაერთიანების სხვადასხვა ფორმები არსებობს, ამიტომ ექსპერტ გიბა უსუფაშვილის განცხადებით, ამ შემთხვევაში გააჩნია, გაერთიანების რა ფორმას აირჩევენ პოლიტიკური ძალები. მისი თქმით, სამედიცინო გაერთიანების ლოგიკა იმაში მდგომარეობს, რომ შეიძლება გაკეთდეს პროდასავლური ფრთის გაერთიანება.

„ჩემი აზრით, ეს თავისთავად ცუდი არც იქნება, მაგრამ



თამარ ბასილია: სააკაშვილის დაპალებით დამიკავშირდნენ, სხინვალში ოპერასიებს ვიწყებთ და ფინანსური დახმარება გვჭირდება...

თამარ ბასილია – საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე; საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე; საქართველოს პრემიერის ეკონომიკური მრჩეველი.

2005 წლიდან სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დევნილი... შეხვედრა სამშობლოსთან, მეგობრებთან. მონაგრება, შეხვედრის სიხარული, დაბრუნება წარსულში და ახალი საქართველო – თავმოყრილი ერთ ინტერვიუში, რომელიც For.Ge-მ ამ რამდენიმე დღის წინათ თამარ ბასილიასთან ჩაწერა და, რომელიც ერთი მარტივი კითხვით დაიწყო.

– 15 წლის შემდეგ, როგორ შეხვდით და შეგხვდათ თბილისი?

– ის, რაც 15 წლის წინათ დავტოვე და რა არის დღეს... უზარმაზარი ცვლილება, უზარმაზარი ნახტომი, რომელიც, შენაძნობა, ბევრ ქვეყანაში არც მომხდარა. მე ამას თბილისზე ვამბობ. ჯერ არ მქონია შენაძნობა, თბილისის გარეთ გასულიყავი. თბილისმა ჩემზე მოულოდნელი შთაბეჭდილება დატოვა. გასულ წელს ჩემი მეუღლე და შვილები იყვნენ ჩამოსული საქართველოში, გადმოცემით ვიცოდი, ამ ცვლილებების შესახებ, მაგრამ ერთი, როცა გადმოცემით იცი და მეორე, როცა შენი თვალით ხედავ ამ ყველაფერს. ყოველდღიურ სტოკოვებაში ადამიანები ვერც კი ამჩნევენ ცვლილებებს, მაგრამ, 15 წელი ეს არის დრო, როცა თვალსაჩინოდ ხედავ, სად იყო ქვეყანა 15 წლის წინათ და სად არის ახლა. ეს უზარმაზარი ნახტომია. თბილისში არ ყოფილა ასეთი ულამაზესი შენობები, რომელზეც განვითარებული ქვეყნის არც ერთი ქალაქი არ იტყობდა უარს. მიუხედავად იმისა, რომ შეცვლილია ქალაქის არქიტექტურა, შენარჩუნებულია ძველი თბილისის ტრადიციული სტილი და ძველი და ახალი კარგად ერწყმის ერთმანეთს.

– თანამედროვე არქიტექტურა რამდენად ნიშნავს ეკონომიკურ აღმავლობას? რას ხედავთ შენობებს მიღმა? ამას გეკითხებით, რადგან დღესაც ისევე, როგორც 15 წლის წინათ, პრობლემად რჩება სიღარიბის დაძლევა.

– ეს შენობები და ფასადები არ იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო შესაბამისი ინვესტიციები, ანუ რაღაც შეიცვალა, საქართველო უფრო მიმზიდველი გახდა ინვესტორებისთვის. თუმცა, ვიგრძენი ის დეპრესიული

მდგომარეობა, გულგატეხილობა, რომელიც ადამიანებს ან უხვობს. ადამიანების მდგომარეობა არ არის ადეკვატური იმისა, რაც ზედაპირზე დევს. ტურისტს მოსწონს ქალაქი, თავისი ინფრასტრუქტურით, რესტორნებით, გასართობებით, მაგრამ, როდესაც ჩემს ახლობელ ადამიანებთან მქონდა საუბარი, გაოცებული დავრჩი იმ განწყობით, რაც ვიგრძენი. ეს ამდენი ცვლილება, ტრანსფორმირება არ აისახა ადამიანების ცნობიერებაზე. ადამიანები ვერ აღიქვამენ ამ სიკეთეს, როგორც საკუთარს, რადგან თითქოს, განვითარება ერთი მიმართულებით მიდის, ხოლო ადამიანები რჩებიან სადღაც, მათ ვერ მიიღეს ის სარგებელი, რაც ამ ცვლილებებს უნდა მოეტანა მათთვის.

– ამ გადმოსახედიდან მინდა შეაფასოთ 2003 წლის მოვლენები. როგორც ყველა ხელისუფალი, შევარდნაძის ხელისუფლებამ განაპირობა ის რევოლუციაც. რა თქმა უნდა, მაშინდელის ტრიუმფირატს დასავლეთის ძლიერი მხარდაჭერა ჰქონდა, თუმცა მოგვიანებით გაჩნდა ვერსიები, რომ ეს იყო ხელისუფლების გადაბარების პოლიტიკა, რომელსაც იგივე დასავლეთი ხელმძღვანელობდა. რამდენად აქვს ამ ვერსიას არსებობის უფლება?

– არაფერი მსგავსი არ ყოფილა. ზუსტად ვიცი, რომ ამერიკის ელჩი კატეგორიული წინააღმდეგი იყო ყოველგვარი რევოლუციის. ის, ამერიკის სხვადასხვა უწყებაში ხდებოდა ამ თემის განხილვა და შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრო კატეგორიული წინააღმდეგი იყო რევოლუციური გადატრიალების. ისინი ამბობდნენ, ჩვენ შენაშინავედ გვაქვს ანკობილი ურთიერთობა ჩვენს პარტნიორებთან და არანაირად არ

გვინტერესებს იქ დესტაბილიზაცია და ქაოზი. მე ისიც ვიცი, რომ სააკაშვილს მიმე საუბრები ჰქონდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მე არ ვამბობ, რომ სააკაშვილს მხარდაჭერა არ ჰქონია, ჰყავდა მას მხარდამჭერები, მაგრამ ეს არ ყოფილა ამერიკის სახელმწიფო პოლიტიკა, რომ საქართველოში რევოლუცია მომხდარიყო.

– ბუნებრივად ისმის კითხვა – ვინ იდგას სააკაშვილის უკან?

– შეგახსენებთ: როდესაც მას ჰკითხეს, ვინ იყო მისი კუმირი, მან დაასახელა ერთი რუსი და მეორე ამერიკელი – ვგვანი პრიმაკოვი და რიჩარდ ჰოლბრუკი. მაგრამ მე ყველაზე მეტად მიკვირს, ნუთუ არავის არ ახსოვს მისი მეუღლის სანდრას ბიოგრაფია. სანდრამ ძალიან კარგად იცის რუსული – საიდან? 1988-89 წლებში სანდრა სწავლობდა მოსკოვში პატრის ლულუმბას უნივერსიტეტში. 2008-09 წლებში ეს მისი ვიკიპედიის ისტორიაშიც კი ეწერა, რაც პირადად მაქვს ნანახი, მაგრამ ახლა ეს ფაქტი ნაშლილია. არადა, სანდრასაც ულამაზესი პარაკია ამის შესახებ ინტერვიუში და პირადად მე დავუსვი მას ეს კითხვა – ჰოლანდიელ ქალს რა გინდოდა მოსკოვში-მეთქი?

– რა გიპასუხათ?

– ეს იმით ახსნა, თითქოს მის ოჯახს არ ჰქონდა ფული, რომ განათლება მიეცათ. მაგრამ ვეროპაში, ჰოლანდიაში და გერმანიაში უმაღლესი განათლება უფასოა და იქ შეეძლო მას განათლების მიღება.

არავისთვის დასაბამი არაა, რომ ლულუმბას უნივერსიტეტი იყო გრუს საჩქედლო – იქიდან გამოდიოდნენ ოფიციალური და გავლენის აგენტები. ასე რომ, რატომ არ ახსოვს ეს საქართველოში ვინმეს, ძალიან მიკვირს.

– სააკაშვილის შესახებ არის ვერსიები, რომ ისიც რუსული პროექტი იყო... გავისწავლოთ ივანოვის ჩამოვლილი.

– გაგახსენებთ, რომ შევარდნაძე არ აპირებდა გადადგომას ივანოვის ჩამოსვლამდე. გადადგომაზე გადაწყვეტილება მიიღო ივანოვთან შეხვედრის შემდეგ, როგორც კი ივანოვი ბათუმში წავიდა, შევარდნაძემ გამოაცხადა, რომ ის მიდიოდა სახლში.

– რომ არ ყოფილიყო ვარდების რევოლუცია, რა გეგმები იყო „მოქალაქეთა კავშირში“, ვინ მოვიდოდა ხელისუფლებაში, ვინ უნდა ყოფილიყო პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და ა.შ.

– მე „მოქალაქეების“ წევრი არ ვყოფილ-

ვარ და თუ ვინმესთან მქონდა დაძაბული ურთიერთობა, ეს სწორედ „მოქალაქეების“ წევრები იყვნენ, ე.წ. ახალგაზრდული ფრთა. ინფორმაცია, რომელიც მე გამაჩნია, ასეთია: ამერიკელების სურვილი იყო, შევარდნაძეს დაესრულებინა თავისი მმართველობა, გაუქმებულიყო იმ არჩევნების შედეგები, მაგრამ 2004 წლის გაზაფხულისთვის დაენიშნა ახალი არჩევნები. 2005 წლისთვის შევარდნაძეს დაესრულებინა საპრეზიდენტო ციკლი და შემდეგ შემდგარიყო საპრეზიდენტო არჩევნები. თუმცა, ივანოვის იმ ვიზიტმა თავდაყირა დააყენა პროცესების მსვლელობა.

– ბევრი მიმართულებით ამერიკასთან საქართველოს პარტნიორობა გაუმჯობესებულია, განსაკუთრებით თავდაცვის სფეროში. თუმცა, უკრაინასთან შედარებით, დღეს საქართველოს თმა ნაკლებად განიხილება ამერიკის მხრიდან. არადა, ჯერ იყო კოსოვოს აღიარება, შემდეგ 2008 წლის აგვისტოს ომი თავისი შედეგებით. ეს იყო პეპლის ეფექტი, სწორედ ამ ფაქტებმა ბიძგი მისცა იმას, რაც მოხდა უკრაინაში. თუ გაქვთ ინფორმაცია, ამ თემების ანალიზი და შეფასება რამდენად აქტუალურია დღეს თუნდაც ამერიკის შიდა პოლიტიკურ წრეებში?

– მათი შეფასება კოსოვოს მიმართ სხვაა, საქართველოსთან მიმართებაში – სხვა და ყირიმთან მიმართებაში – სხვა, მაგრამ ისინი აღიქვამენ, რომ ყირიმის პრობლემა განადა მას შემდეგ, რაც საქართველოში მოხდა 2008 წლის ომი. აქ ისინი კავშირს ხედავენ და თვლიან, უფრო აქტიურები რომ ყოფილიყვნენ მაშინ, იგივე რუსეთთან მოლაპარაკებებში და სხვა პროცესებში, იქნებ აქამდე არ მისულყოფოდა. ისინი გრძობდნენ, რომ რაღაცა ხდებოდა, თუნდაც ავიღოთ კონდოლიზა რაისის ვიზიტი საქართველოში. ის, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი რანგის პირები ჩამოდიოდნენ საქართველოში ომის წინა პერიოდში და სააკაშვილს აფრთხილებდნენ, პროვოკაციას არ წამოგებოდა, ამაზე მეტყველებს.

მაგრამ, ვიცი, რომ სააკაშვილი ვაშინგტონში იყო ჩასული და ყველა საჯარო გამოსვლაში ხმაოდ ლაპარაკობდა, ზუსტად ამ ფრაზით: სანამ რუსეთი თავის უანგინ ტანკებს დაქოქავს, ჩვენ ცხინვალში ყველაფერს დავამთავრებთ!

იხ. 4 გვ.

ვფიქრობ, რომ შესაძლებელია, ეს იყოს ერთიანი ბლოკი, შენაძნობელია, ეს იყოს კარგად კოორდინირებული მუშაობა, განაწილება მაჟორიტარული ოლქებისა და კიდევ სხვა ტიპის კოორდინაცია. არ ვიცი, დაველოდოთ და შევხედოთ. „თავისუფალი დემოკრატების“ და „ევროპული საქართველოს“ თანამშრომლობა უკვე სახეზე გვაქვს. შალვა შავგულაძე არის ამის პროდუქტი“, – აცხადებს გია ხუხაშვილი.

რაც შეეხება მოძრაობა „შენებას“, გია ხუხაშვილის განცხადებით, რა ფორმით გადაწყვეტს დავით უსუფაშვილი თანამშრომლობას, ამას ახლო მომავლი გამოაჩენს. მაგრამ იმ ფონზე, რასაც ხელისუფლება აკეთებს, გია ხუხაშვილის შეფასებით, ეს არის „ევროპული საქართველოს“ რეაბილიტაცია.

„იმიტომ, რომ სისტემური დანაშაული ხდებოდა, დამკვეთი შეიძლება შეიცვალოს. თუ გუშინ დამკვეთი ქილერის მეშვეობით მოქმედებდა, შეიძლება, რაღაცა ეტაპიდან მან გადაწყვიტოს, რომ წესიერად ადამიანთან ითანამშრომლოს. თეორიულად ასეთი რაღაცა შესაძლებელია, მაგრამ ქილერი ყოველთვის ქილერად რჩება. უბრალოდ, ის ახალ პატრონს პოულობს, კოლექტიური მურუსიძე მყავს მხედველობაში“, – აღნიშნა Fore.ge-სთან საუბრისას გია ხუხაშვილი.

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, ციხეში და ციხის გარეთ ადამიანთა წამებაზე, ადამიანების მიმართ დაუნდობლობაზე პასუხისმგებელია „ევროპული საქართველო“, შესაბამისად, პოლიტოლოგი ეჭვობს, რომ ნაყოფიერი გახდეს „ევროპული საქართველოს“ ბრძოლა მესამე პოლუსის შექმნისთვის.

„ასეთი კონფიგურაციაზე ელისაშვილმა განაცხადა, ჩემს გუნდსა და ამომრჩეველთან ერთად უარს ვამბობ, ხმა მივცე „ნაციონალურ მოძრაობას“. მართლაც, „ევროპული საქართველო“ ყველაგან აღიქმება, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფნა, რადგან იმ სისტემის მაღალი ეშელონი იყო ის ხალხი, ვინც ახლა „ევროპულ საქართველოშია“. იმაში, რაც მიუღებელი იყო ამომრჩევლისთვის, ეს ჯგუფიც არის პასუხისმგებელი. იმიტომ მეეჭვება, ნაყოფიერი გახდეს „ევროპული საქართველოს“ ბრძოლა მესამე პოლუსის შექმნისთვის“, – აღნიშნა Fore.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძე.

კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბირაძე ამბობს, რომ „ევროპულ საქართველოს“ ჰქონდა შანსი ჩამოყალიბებულიყო მესამე ძალად, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნებში ამ პოლიტიკური ძალის მოქმედება არასწორი იყო. გიგი უგულავას სააკაშვილთან ვიზიტმა, ფაქტობრივად,

ხაზი გადაუსვა იმას, რის დამტკიცებასაც 2016 წლიდან ცდილობდნენ ქართველი საზოგადოებისთვის, რომ ისინი გამოეყვნენ „ნაციონალურ მოძრაობას“.

„დღეს, ამომრჩეველი დაარწმუნო იმაში, რომ ნაცმოძრაობა სხვა არის და „ევროპული საქართველო“ თურმე განსხვავებულია, საკმაოდ სუსტი არგუმენტია. ამიტომ, ამომრჩეველმა „ევროპული საქართველო“ მესამე ძალად მიიღოს, არ მგონია, ამას რაიმე პერსპექტივა ჰქონდეს. არც იმას ვიტყვი, რომ ახლა აუცილებლად მისაღებია გადაწყვეტილება გაერთიანების შესახებ – ამას დრო სჭირდება.“

თავის დროზე ალასანია და უსუფაშვილმა საკმაოდ ემოციურ ტალღაზე მიიღეს გადაწყვეტილება. არ ვამბობ, რომ არ უნდა დაეტოვებინათ „ოცნება“, მაგრამ ძალიან სწრაფად მიიღეს ეს გადაწყვეტილება, არ დაელოდნენ სიტუაციის დალაგებას. თუ ასევე სწრაფად მიიღებენ გადაწყვეტილებას და არ დაელოდებიან ემოციური ფონის გადასვლას, კვლავ შეცდებიან, დღეს არ ჩანს ეს პოლიტიკური რეალობა და მე მგონია, რომ არასწორი გადაწყვეტილება იქნება დღეს ეს გაერთიანება. ვნახოთ, რა მოხდება შემოდგომაზე, როდესაც უნდა მოხდეს გადაჯგუფებები პოლიტიკაში“, – აღნიშნა Fore.ge-სთან საუბრისას ვახტანგ ძაბირაძე.

თამარ ბასილია

(მესამე გვერდიდან)

— რასან ამ თემას შევხვებით, აუცილებლად მინდა, გკითხოთ — ვინ დაინფო ომი? ეს კითხვა დღემდე საჯილდოა ქვაა პოლიტიკურ ძალებს შორის. რუსეთის ოკუპანტობაზე და მისწრაფებებზე აქ კითხვებიც არ შეიძლება დაისვას, მაგრამ შეგვეძლოს თუ არა ამ ომის თავიდან აცილება და არ წამოვგებოდით რუსეთის პროვოკაციას? პრეზიდენტის არჩევნებამდე სალომე ზურაბიშვილის მიერ გაკეთებულმა შეფასებამ სააკაშვილის როლზე ამ ომის დაწყებაში, ქვეყანა ლამის ორად გახლიჩა

სადაც სამეგრელოს მაშინდელმა გუბერნატორმა კახა არდიამ ცნობილი ფრაზა თქვა: — ბატონო პრეზიდენტო, სამეგრელოში ყველაფერი კარგად მიდის, გაჩნდა ფულიც, აი, მაგალითად, ამ დღეებში გაიტაცეს პიროვნება, რომლის ოჯახმაც მეორე დღესვე 30 000 დოლარი გადაიხადა გამოსასყიდო. ამ სხდომაზე გამოაცხადეს, რომ ბასილია გაიქცა... ნაილო მილიონები... გავალებთ, დააბრუნოთ აქ ნებისმიერი ხერხით და გზით!

თემურ ბასილია:

ვაზე — თემურს შეუძლია დიდი დახმარება გაგიწიოთ და დაუკავშირდით მას. ამ დროს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მითხრა, თემურის ჩართვა საქმეებში არ ღირს, რადგან მის მიმართ სეროზული პრობლემები წარმოიქმნებაო. როდესაც ჩემი დევნა დაიწყო, მე ჩავაყენე საქმის კურსში ჩემი უფროსები გაეროდან და წესით, პროექტის რიგით წარმომადგენელს ეს არ უნდა სცოდნოდა. სხვათა შორის, შემდეგ ჩემი თანდასწრებით კიდევ დაუკავშირდნენ ამ ადაინანს ტელეფონით და მან იკვირე გაიმეორა: — „ხელისუფლებას თემურის წინააღმდეგ გამზადებული აქვს სპეცია-

— ეს ნიშნავს, რომ სააკაშვილი შესაძლოა, კვლავ მობრუნდეს ხელისუფლებაში? — საქმე ისაა, რომ ორტეგა 1989 წლამდე და ორტეგა 2005 წლიდან ორი სხვადასხვა რამეა. კი, მისი პოლიტიკური იდეები მაშინაც და ახლაც მიუღებელია, მაგრამ იგი მენტალურად სტაბილური ადამიანია. ორტეგა იდეურად არის მე-მარცხენე, ხოლო სააკაშვილისთვის იდეური მომენტი არ არსებობს. როცა დასჭირდება, ის შეიძლება იყოს მემარცხენე, როცა უნდა — მემარჯვენე, ცენტრისტი და ა.შ. სააკაშვილი მენტალურად არ არის სტაბილური ადამიანი და დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი რომ მობრუნდეს, გაიმეორებს იმავეს, რაც გააკეთა 2004-05 წლიდან.

— თქვენს საქმესაც შევხვით, ვფიქრობ, ამ ხელისუფლების პირობებშიც არანაკლებად დაზარალებით. 7 წელი ელოდით თქვენი საქმის გადახედვას, რატომ? — არ ვიცი, ხელისუფლებაზე იდო ყველაფერი. ჩემი საქმის პროკურორი ირაკლი შელია, რომელმაც შეკერა მთელი საქმე, დღეს არის თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის პირველი მოადგილე. მართალია, იგი არ არის ძალიან მაღალი თანამდებობის პირი, მაგრამ შეუძლია, საქმეზე გარკვეული გავლენა მოახდინოს. ადამიანი, რომელიც იყო პროკურატურაში სამმართველოს უფროსი (გვარი არ მახსოვს), რომლის ხელმოწერით წავიდა ჩემი საქმე სასამართლოში, ეს ადამიანი დღეს არის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე. ის მოსამართლე, რომელმაც 9 წელი მომისაჯა, დღეს მუშაობს პროკურატურაში. ეს ხალხი არის იმ პოზიციებზე, საიდანაც შეუძლიათ რაღაცის შეფერხება, რაღაცის არგაკეთება. ეს, რაც ვიცი და რაც არ ვიცი, კიდევ სხვა თემაა. დღეს რომ ჩემზე დას-ს ძენა კიდევ არ არის მოხსნილი, ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. სააკაშვილის დროს ჩემზე იარაღის ფლობაზე იყო შეთითხნილი საქმე, ეს ხომ სასაცილოა. ყველაფერი რომ თავი დაგანებოთ და ყველაფერი მართალი ეწეროს იმ საქმეში, მე ხომ პარლამენტის წევრი ვიყავი და კანონით მაქვს არა მარტო ფლობის, ტარების უფლება. არ შეიძლება, ეს საქმე არ დახურულიყო, მაგრამ არ უნდათ, დახურონ.

საკაშვილის დაპატიმრებით დაიკავშირდნენ, სხინვალში ოპერაციებს ვინწყობთ და უინანსური დახმარება გპჭირდებაო...

და დღემდე ორად აზრი გახლიჩილი. სწორედ ეს მაინტერესებს, ამერიკაში ეს მოდით, რომ სააკაშვილი ემზადებოდა ომისთვის?

— რა თბა უნდა, ემზადებოდა. უფრო მეტსაც გეტყვით, როდესაც ჩემი პოლიტიკური დევნა დაიწყო, სააკაშვილის მთავრობის დავალებით დაიკავშირდნენ და მითხრეს: ჩვენ ცხინვალში ვინწყობთ ოპერაციებს და ფინანსური დახმარება გვჭირდებაო.

— კონკრეტულად ვინ დაგიკავშირდათ?

— იმ ადამიანის სახელი და გვარი არაფერს ამბობს, მაგრამ ეს იყო მერაბიშვილის და ადგიშვილის დავალებით განხორციელებული კომუნიკაცია.

— ეს რომელი წელი იყო? უკვე ძეგნილი იყავით?

— ეს იყო 2005 წლის ივნისი. მაშინ გაეროში ვმუშაობდი, ხოლო უკვე შემოდგომიდან ჩემი დევნა დაიწყო.

— ანუ თქვენი დევნა დაიწყო მას შემდეგ, რაც უარი უთხარით ფინანსურ დახმარებაზე?

— კი.

— სხვა არაფერს გედავებოდნენ?


— მედავებოდნენ რაღაცა აბსურდზე, თითქოს რაღაცა პროექტებზე თანხები გადაირიცხა, რაც არ განხორციელებულა და ამ დროს, ქართული მხრიდან ყველა დოკუმენტაცია იყო პროკურატურისთვის გადაცემული და ხალხი ჰყავდათ დაკითხული. ხოლო, უცხოელები, რომლებსაც ამ პროექტებში უნდა მიეღოთ მონაწილეობა, არც ერთი დაკითხული არ ყოფილა. როდესაც ჩემი დევნა დაიწყო, ვუთხარი, მაჩვენეთ, რას მედავებთ, თუ ვინმე რაიმე უკანონო გადარიცხვები გააკეთა, მითხარით, მე დაგეხმარებით, რადგან თავად ვარ დაინტერესებული, რომ ერთად მოვიძიოთ და თქვენ გვერდით ვიქნები-მეთქი, მაგრამ ამაზე პასუხად მივიღე: — ჩვენ ეს არ გვაინტერესებს!

— ალბათ, გახსოვთ ცნობილი სატელევიზიო დაკავებები — აკაკი ჩხვიძე, მერაბ ადგიშვილი, ბორის სარალიძე და ა.შ. ფორმაზე ნუ ვისაუბრებთ, მაგრამ მაშინ იყო საუბარი, რომ მავანს 60 მლნ-იც კი მიიტანინეს. უცნაურია, ამ გადატყვევებულ ქვეყანაში სახელმწიფო ჩინოვნიკს საიდან ჰქონდა 60 თუ არა, 1 ან 2 მლნ მაინც?

— ვერ გეტყვით, ვინ რა მიიტანა, მე ამ ყველაფერს პრესიდან ვიგებდი. მაგრამ ვიცი ჩემთან დაკავშირებით რას აპირებდნენ, მითხრეს: — ჩვენ ვიცით, შენ არ გაქვს ამხელა თანხა, მაგრამ ჩვენ მოგეხმარებით ბანკიდან სესხის აღებაში, რომ ცხინვალის განთავისუფლების და პოლიციის განვითარების ფონდში თანხა გადაიხადო. რაც შეეხება ჩემს წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებას, თავად იყვნენ გაოცებულები და ამას არც მალავდნენ პირად საუბრებში, რომ ვერაწიარ დოკუმენტს ვერ მიაკვლიეს ჩემ წინააღმდეგ.

— თქვენ რატომ წახვედით ამერიკაში?

— 2005 წლის 17 ივლისს ბათუმში მთავრობის სხდომაზე, ეს ის სხდომა,



არადა, ვარდების რევოლუციის შემდგომ, ბუნებრივია, მე წამოვედი ხელილსუფლებიდან. 6 თვის განმავლობაში უამრავი მცდელობა მქონდა, სადმე მუშაობა დამეწყო, მაგრამ ჩემთვის ყველა კარი ჩარაზული იყო. ამის შემდეგ მე შევეხმარე საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩემს მეგობრებს და მათ შემომთავაზეს გაეროში „ათასწლეულის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში ტაჯიკეთში პროექტის ხელმძღვანელობა. ჩემთვის წინ კეთილისმსურველები მირჩევდნენ, რომ ხელისუფლება ჩამეყენებინა საქმის კურსში, მაგრამ ეს რომ გამეკეთებინა, დარწმუნებული ვიყავი, არავინ გამიშვებდა — მე ვიცნობ მავ ხალხის ბუნებას.

— მერ რატომ დაგიწყეს დევნა?

— რამდენიმე ფაქტორის გამო, საკმაოდ ბევრი კონტაქტი მქონდა დასავლეთში, საერთაშორისო ორგანიზაციებში. მათ თუ ვინმეს მიმართ ჰქონდათ ნდობა, ალბათ, ერთ-ერთი მე ვიყავი. მათ იცოდნენ ჩემი წარსული, პროფესიონალიზმი. განა რამდენი ადამიანი წავიდა გადაადგომის შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებში სამუშაოდ? ეს ნდობა აღიზიანებდა სააკაშვილს და მის მთავრობას. გარდა ამისა, მათ ეშინოდათ, რომ ვავნებდი და ცდილობდნენ, რომ უცხოელებს არ ჰქონოდათ ინფორმაციის მიღების ალტერნატიული წყაროები. და კიდევ, ყველაზე მთავარი — ეს იყო არა მარტო ჩემი დასჯა, არამედ იმ ქართველებისთვის, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობდნენ, ჩვენება აი, ბასილიას რა დღე ვაყარეთ და თქვენ უარესს გაგიკეთებთ!

ზუსტად იმ პერიოდში გაეროს ხელმძღვანელი დამიკავშირდა ტაჯიკეთში და მითხრა, რომ სასწრაფოდ უნდა მოდიოდა ჩემთან შეხვედრა. რა თქმა უნდა, შევხვედი და ამ დროს მეუბნება: „ახლანა დაგვამთავრე თათბირი. სხვადასხვა პროექტების ხელმძღვანელებს შევთა-

ლური ქეისი და ცოტა ხანში დაინწყება მის მიმართ სხვადასხვა მეთოდებით — სამართლებრივი თუ არასამართლებრივი მეთოდებით დევნა“. ეს ყველაფერი უკვე მეც მოვისმინე. ეს ადამიანი, როგორც აღმოჩნდა, ვარდების რევოლუციამდე იყო საქართველოში წელიწადი თუ წელიწადნახევრის განმავლობაში და ესმარებოდა სწორედ სააკაშვილის ჯგუფს — გივი თარგამაძესთან თანამშრომლობდა. მან დაადასტურა, რომ იმ პერიოდშიც ჰქონდა შენარჩუნებული ეს კონტაქტები.

— ამ ხელისუფლებას ხშირად საყვედურობენ, რომ ვერ ელევნა ნაციონალების 9-ნილიან პერიოდზე საუბარს. ამას თავისი ასსნა აქვს და ამ ხელისუფლების სასარგებლოდ არ მტყვევლებს, მაგრამ მეორე, ვფიქრობ, სამწუხარო თემაა, რომ საზოგადოების ნაწილს რატომღაც „დაავიწყდა“ ყველა ის სისასტიკე, რაც იმ რეჟიმისგან მოდოდა — არჩევნები ამის ნათელი მაგალითია. არც ისე ბევრი დრო გავიდა და დღეს მიხილ სააკაშვილი ისევ რევოლუციით იმუქრება. რამდენად გამოუვა, ეს სხვა თემაა, მაგრამ მოძალადე რეჟიმი კვლავ ძალადაბნობს ხელისუფლებაში მოსვლაზე, ეს რა ფენომენია, თქვენ რა ასსნა გაქვთ?

— ნიკარაგუა — დანიელ ორტეგა! ამის მაგალითიც გვაქვს.

— თქვენს საქმესაც შევხვით, ვფიქრობ, ამ ხელისუფლების პირობებშიც არანაკლებად დაზარალებით. 7 წელი ელოდით თქვენი საქმის გადახედვას, რატომ?

— არ ვიცი, ხელისუფლებაზე იდო ყველაფერი. ჩემი საქმის პროკურორი ირაკლი შელია, რომელმაც შეკერა მთელი საქმე, დღეს არის თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის პირველი მოადგილე. მართალია, იგი არ არის ძალიან მაღალი თანამდებობის პირი, მაგრამ შეუძლია, საქმეზე გარკვეული გავლენა მოახდინოს. ადამიანი, რომელიც იყო პროკურატურაში სამმართველოს უფროსი (გვარი არ მახსოვს), რომლის ხელმოწერით წავიდა ჩემი საქმე სასამართლოში, ეს ადამიანი დღეს არის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე. ის მოსამართლე, რომელმაც 9 წელი მომისაჯა, დღეს მუშაობს პროკურატურაში. ეს ხალხი არის იმ პოზიციებზე, საიდანაც შეუძლიათ რაღაცის შეფერხება, რაღაცის არგაკეთება. ეს, რაც ვიცი და რაც არ ვიცი, კიდევ სხვა თემაა. დღეს რომ ჩემზე დას-ს ძენა კიდევ არ არის მოხსნილი, ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. სააკაშვილის დროს ჩემზე იარაღის ფლობაზე იყო შეთითხნილი საქმე, ეს ხომ სასაცილოა. ყველაფერი რომ თავი დაგანებოთ და ყველაფერი მართალი ეწეროს იმ საქმეში, მე ხომ პარლამენტის წევრი ვიყავი და კანონით მაქვს არა მარტო ფლობის, ტარების უფლება. არ შეიძლება, ეს საქმე არ დახურულიყო, მაგრამ არ უნდათ, დახურონ.

ჩემს ადვოკატებს პირდაპირ უთხრეს: ნუ წერვიულობს ბატონი თემური, ეს საქმეები მას ხელს არ შეუშლისო. ეტყობა, ხელმძღვანელობიდან იღებენ ასეთ მითითებას გამოძიებელი და პროკურორი და საქმე წინ არ მიდის.

— ეს ჩინოვნიკების არაპროფესიონალიზმს გინდათ მინანქროთ, თუ სხვა რამ იმალება ამის უკან?

— ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება რომ შეიცვალოს და „ნაციონალიზმი“ დაბრუნდეს, მოსთხოვენ პასუხს.

— თქვენ ამბობთ, რომ ხელისუფლებაში ზის ხალხი, რომელიც მიშას დაბრუნებას ელოდება?

— მეტსაც გეტყვით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა დღეს, ვაშინ-გატონში, ერთ-ერთ ღონისძიებაზე, სადაც მეც ვმონაწილეობდი, იყო ჩამოსული საქართველოს სამთავრობო დელეგაცია, ძირითადად, მინისტრის მოადგილეებით დაკომპლექტებული და ეს ადამიანები მოუთმენლად ელოდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვებას და ღიად ლაპარაკობდნენ ამაზე. მეორე დღეს ისევ იყო ღონისძიების გაგრძელება და ეს ხალხი იქ ცხვირჩამოშვებული და ნანწყინი დადიოდა, რომ არჩევნები „ოცნებამ“ მოიგო.

HTTP://REPORTIORGE FOR.GE

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა დღეს ვაშინგტონში ერთ-ერთ ღონისძიებაზე, სადაც მეც ვმონაწილეობდი, იყო ჩამოსული საქართველოს სამთავრობო დელეგაცია, ძირითადად, მინისტრის მოადგილეებით დაკომპლექტებული და ეს ადამიანები მოუთმენლად ელოდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვებას და ღიად ლაპარაკობდნენ ამაზე. მეორე დღეს ისევ იყო ღონისძიების გაგრძელება და ეს ხალხი იქ ცხვირჩამოშვებული და ნანწყინი დადიოდა, რომ არჩევნები „ოცნებამ“ მოიგო.

სამუდამოდ - ერის ისტორიაში

მერაბ ბერძენიშვილი - 90



თანამედროვეობის უდიდეს მოქანდაკეს, მსოფლიოში ფართოდ აღიარებულ და ცნობილ ხელოვანს - მერაბ ბერძენიშვილს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდება. დიდმა ნიჭიერებამ, ზოგადმა კულტურამ, გასაოცარმა მხატვრულმა ერუდიციამ მის პლასტიკურ ქმნილებებს მსოფლიო ესთეტიკურ კონტექსტში თვალსაჩინო ადგილი მიუჩინა, მაგრამ მიუჩინა ისე, რომ მათი შემოქმედი ყოველთვის ინარჩუნებდა ეროვნულ სასიათს, რადგან იგი ორგანულად იყო დაკავშირებული მშობლიურ ნიადაგთან, ქართველ ხალხთან, მის ფსიქოლოგიასა და მენტალიტეტთან, იმ უნიკალურ კულტურასთან, რომლის თვითცნობიერებასაც თავად ეს კულტურა წარმოადგენს.



ქიდევაძე დაიზრდებიან

ყოველთვის დიდი ბედნიერებაა, როდესაც სამყაროს ასეთი ადამიანები უჩნდებიან დროდადრო. განსაკუთრებით ათმაგდება ღვთის წყალობა, თუ ისინი მცირე ერის წიაღში აღმოცენდებიან და თუ ეს ერი მზად არის, გაუგოს თავის დიდ შვილს, რომელიც მათგან მხოლოდ თანადგომის ითხოვს და სხვას არაფერს. მაგრამ ხდება იმგვარადაც, როგორც წარსულშიც ბევრჯერ მომხდარა: ისეთ ხალხს შეუფასებია მხატვრული ძეგლი, რომელიც საერთოდ ვერ ერკვევა ხელოვნებაში (ჩინოვნიკებს ყოველ დროებაში უჭირდათ ხელოვნების ნაწარმოების გაგება). „გამარჯვების მემორიალის“ ბარბაროსულმა განადგურებამ ქუთაისში თავზარი დასცა მთელ საქართველოს, მაგრამ ხომ იყვნენ ისეთებიც (შემსრულებლები), რომელთა შესახებ მოქანდაკემ გულისწყევით თქვა, ქართველებს ვერ გავაგებინე, რას წარმოადგენდა ეს ძეგლი. ამჯერადაც ისე მოხდა, როგორც მაშინ, როცა ავტორის გარეშე დავით აღმაშენებლის ძეგლი გადაიტანეს. იმ სულის შემძვრელ გარემოში დიდი იყო უბრალო ხალხის თანადგომა და სიყვარული თავისი ღვიძლი შვილისადმი, რომელმაც შორს გაუთქვა სახელი მათ პატარა სამშობლოს.

ყველაფერი, რაც ამ ხელოვანს უკეთებია, დიდი და მნიშვნელოვანია: გარდა მონუმენტური ქანდაკებებისა, საქართველოსა და მის გარეთ (რუსეთი, ამერიკა, ლაოსი) მას შესრულებული აქვს მრავალი ნაწარმოები ფერწერის, გრაფიკის, პლაკატისა და დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგში. თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურა ბატონი მერაბი ახალგაზრდობის აღზრდას, როგორც თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია მისი მოქალაქეობრივი პოზიცია, შეუვალი პრინციპულობა. ყოველივე ეს საყოველთაო პატივისცემასა და სიყვარულს იწვევდა თანამემამულეთა გულში, რასაც დრო ვერ გააფერმკრთალებს. ბატონი მერაბ ბერძენიშვილი, სხვა დიდ ერისშვილებთან ერთად, ყოველთვის იქნება ქართველი კაცის სიამაყის, რაინდობის, პირადული ღირსების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი.

იგი იყო გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის ნიკოლოზ კანდელაკის მოწაფე, რომელსაც თავის მთავარ მასწავლებლად მიიჩნევდა. მისი სადიპლომო ნამუშევარია შოთა რუსთაველის ძეგლის პროექტი, რომლის მხატვრული ღირსებაც ისეთი მნიშვნელობის გამოდგა, რომ ათი წლის შემდეგ ძეგლი მოსკოვში აღიმართა (1960 წ.). გამორჩეულად ნიჭიერი ახალგაზრდა აკადემიის დამთავრებისთანავე ჩაერთო რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში და მალევე გახდა ქართველი სახვითი ხელოვნების ერთი ყველაზე გამოჩენილი მოღვაწე.

იგი ინტენსიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო გამოფენებში. მისი ნაწარმოებები მოგზაურობდნენ საფრანგეთში, იტალიაში, ავსტრიაში, ბრაზილიაში, რუმინეთში, ჩეხეთში, პოლონეთსა და კალიფორნიაში - ამერიკის შეერთებულ შტატებში.

აღსანიშნავია, რომ ბატონი მერაბის დამოუკიდებელი მუშაობის პირველი წლები თეატრს დაუკავშირდა - მან შექმნა რამდენიმე შთამბეჭდავი თეატრალური პლაკატი, რომელზეც გამოხატული პერსონაჟების სილუეტური სახეები ძალზე პლასტიკური და ნოვატორული იყო. ამავე პერიოდში იქმნება მისი ფსიქოლოგიური და პლასტიკის თვალსაზრისით სრულიად გამორჩეული პორტრეტული ბიუსტები, მაგრამ ხელოვანს მაინც მონუმენტური ქანდაკება იზიდავს, იქმნება ძეგლები ვახტანგ გორგასლის, დავით გურამიშვილის; ძეგლთა პროექტები ვაჟა-ფშაველასი და შოთა რუსთაველის; 1971 წელს დედაქალაქში, ფილარმონიის შენობასთან დაიდგა „მუზა“ - თბილისელის საყვარელი ქანდაკება, რომელშიც გამოყვანილია ქალური მოხდენილობა, სინაზე, სულიერი ღირსი და სხეულის მღერადობა, ამავე წელს ქალაქ კასპში აღიმართა გიორგი სააკაძის გრანდიოზული ცხენოსანი ფიგურა, აგრეთვე ბიჭვინთაში დაიდგა ქანდაკება „მედია“. 1972 წელს გამოძერწილ იქნა ზაქარია ფალიაშვილის ძეგლი, ხოლო 1975 წელს მარნეულში აღიმართა დედის ფიგურა ორი ვაჟითურთ და ქანდაკებას უწოდა „კიდევაც დაიზრდებიან“. 1978 წელს გურჯაანში დაიდგა ასევე გრანდიოზული ფიგურა - „ჯარისკაცის მამა“, ქანდაკებისა და არქიტექტურის უნიკალური შესამეხობი გამორჩეული ზემოხსენებული მემორიალი შეიქმნა 1982 წელს, ხოლო 1986 წელს - დიდგორის ბრძოლისადმი მიძღვნილი ნამუშევარი. მოქანდაკის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს დავით აღმაშენებლის ფიგურა, რომელმაც ქართველების განსაკუთრებული სიყვარული დაიმსახურა. მხატვრული თვალსაზრისით არა-

ნაკლებ მნიშვნელოვანია ავტორის გალერეასა და ეზობალში მოთავსებული ნამუშევრები: „შოთა რუსთაველი“, „სულხან-საბა ორბელიანი“, „ქეთევან ნამებული“, „ვაჟა-ფშაველა“, პუშკინი და სხვ. აგრეთვე, მის თანამედროვეთა სკულპტურული პორტრეტები: „ნონა გაფრინდაშვილი“, „დინარა ნოდია“, „ლალო ქოქიაშვილი“, „ნათია ამირეჯიბი“, „ნოდარ ღუმბაძე“, „დოდო აბაშიძე“ და სხვ.

მერაბ ბერძენიშვილი იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევის დეპუტატი, საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე. მას მინიჭებული აქვს საქართველოს სახალხო მხატვრის, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის, თბილისის საპატიო მოქალაქის წოდებები, მრავალი ეროვნული და საერთაშორისო ჯილდო. იგი არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრად.

დიდი ხელოვანის ძეგლთა განლაგება ქალაქების მოედნებსა და ქუჩებში ან მემორიალური კომპოზიციებისა - ლანდშაფტურ გარემოში ამ ნამუშევრებს აახლოებს მოქალაქეთა ყოველდღიურ ყოფასთან, სიხარულსა და იმედს სძენს მათ, რადგან მათში ხედავენ თანამედროვეობის კავშირს წარსულთან და არა მათ ურთიერთდაპირისპირებას, მათი მემკვიდრეობით ნათლად იაზრებენ თაობათა მემკვიდრეობითობას.

სამშობლოსა და ზოგადად ადამიანის სიყვარულით შთაგონებულმა დიდმა შემოქმედმა მერაბ ბერძენიშვილმა თავისი მდიდარი და მრავალმხრივი მხატვრული შემოქმედებით სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქართველი ერის ისტორიაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია



გიორგი სააკაძე



მუზა



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 10 ივნისს, 12:00 სთ-ზე, გაიმართება მერაბ ბერძენიშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ინტერვიუ ყველაზე პოპულარული ჟანრია თანამედროვე ჟურნალისტიკაში.

განასხვავებენ ინტერვიუს, როგორც მეთოდს და ინტერვიუს, როგორც ჟანრს.

ინტერვიუს მეთოდი უძველესი დროიდან გამოიყენება ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში როგორც სასულიეროში, ისე საეროში - მედიცინაში, პედაგოგიაში, იურისპრუდენციაში და, რა თქმა უნდა, ჟურნალისტიკაშიც.

მაშ, რა არის ჟურნალისტური ინტერვიუს ჟანრობრივი თავისებურებები?

- ინტერვიუ როგორც წესი, გადმოცემულია კითხვა-პასუხის ფორმით და რეალურ სინამდვილეს ასახავს;
- ინტერვიუში, ერთი მხარე - რესპონდენტი, იგივე ინტერვიუდებული - არის კონკრეტული ინფორმაციის მქონე და გამცემი, მეორე მხარე კი, ანუ ჟურნალისტი, იგივე ინტერვიუერი, არის იმავე კონკრეტული ინფორმაციის არმქონე, მაგრამ მოსურნე და მაძიებელი, მისი მიზნები და გამტარი;
- ინტერვიუ საინტერესო და აქტუალურია არა მხოლოდ ჟურნალისტიკათვის, არამედ ადამიანთა გარკვეული სიმრავლისათვის;
- ინტერვიუ, ყველა სხვა ჟურნალისტური ჟანრისაგან განსხვავებით, ემსახურება სხვისი, რესპონდენტის თვალსაზრისის წარმოდგენას და არა ჟურნალისტიკას;
- ინტერვიუში გამოირჩევა კამათი;
- ინტერვიუში რაც შეიძლება, მოკლე დროითი დისტანცია ინტერვიუს აქტსა და მის ტექსტადქცევას ან სხვა სახის საბოლოო პროდუქტად ჩამოყალიბებას შორის;
- ინტერვიუ აუცილებლად გულისხმობს მასობრივ მომხმარებელს - მკითხველს, მსმენელსა თუ მაყურებელს.

ეს არის ჟურნალისტური ინტერვიუს ერთგვარი მატრიცა, რომლის მიხედვით ყველა კონკრეტულ შემთხვევაში შეგვიძლია გავარკვიოთ, რასთან გვაქვს საქმე - მეთოდთან თუ ჟანრთან.

მკვლევარები ვერ თანხმდებიან ინტერვიუს, როგორც ჟანრის, წარმოშობის ზუსტ თარიღზე, მაგრამ თვლიან, რომ ეს XIX საუკუნის ამერიკული გამოგონებაა.

Wikimedia Commons has media related to Interviews.
5. ^ Paata Natsvlishvili, For the Genesis of Interview as a Genre, European Scientific Journal, December 2013, https://eujournal.org/index.php/esj/article/view/2376/0

მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ინტერვიუდ მიჩნეული ის პირველი ცდები უფრო მეთოდით იყო ინტერვიუ, ვიდრე ფორმითა თუ ჟანრობრივად.

ასე რომ, მსოფლიო ჟურნალისტიკის ისტორიაში XIX საუკუნის 30-იან წლებზე ადრე ინტერვიუ, როგორც ინფორმაციის გადმოცემის ფორმა, არავის ეგულება.

ამ ფონზე უადრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია ერთ ძველ ქართულ ტექსტში რამდენიმე ისეთი ადგილის აღმოჩენა, რომლებიც ზუსტად ერგება ჟურნალისტური ინტერვიუს მატრიცას.

ეს არის 1750-იან წლებში დაწერილი ვრცელი სამოგზაურო ნარკვევი „მიმოსლვა“, რომლის ავტორი გახლავთ თვალსაჩინო ქართველი სასულიერო მოღვაწე, ჯერ ქუთათელი და შემდეგ ქართლის მთავარეპისკოპოსი, დიპლომატი, მწერალი და მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი (1703-1764) და რომელიც ამ ტექსტის რამდენიმე ადგილას ინტერვიუერის როლში გვევლინება.

მისი მთავარი რესპონდენტი კი ახალი საბერძნეთის ყველაზე სახელოვანი თეოლოგი, ათონის მთის ცნობილი საღვთისმეტყველო სკოლის რექტორი ევგენიოს ბულგარისი (1716-1806) ბრძანდება, შამაშქვადავი ბიოგრაფიის მქონე დიდი ფილოსოფოსი, რომელსაც ტიმოთე გაბაშვილი „ახალ პლატონად“ მოიხსენიებს.



ათონის ივართა მონასტარი (ტიმოთე გაბაშვილის ნახატი მისი „მიმოსლვის“ აპოკრიფში).

პირველი ინტერვიუ ჟურნალისტიკის ისტორიაში

„მიმოსლვის“ პუბლიკატორის, აკადემიკოს ელენე მეტრეველის მიერ ტიმოთე გაბაშვილის ტექსტი მრავალმხრივ და ამომწურავად არის შესწავლილი, მაგრამ ინტერდისციპლინარულ დონეზე ახალი თვალთქონით მისი წაკითხვისას აღმოჩნდა არაერთი მანამდე ყურადღებამიუქცეველი ადგილი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული, და არა მარტო ქართული, ჟურნალისტიკის ისტორიისა და არქეოლოგიისათვის.

„ჟურნალისტიკის არქეოლოგია“ ჩვენ მიერ შემოქმდილი ტერმინია ქართულ ჟურნალისტიკისმცოდნეობაში, მიშელ ფუკოს „პუმიანტარულ მეცნიერებათა არქეოლოგიის“ ანალოგიით. ჩვენი დეფინიციით, ჟურნალისტიკის არქეოლოგია შეისწავლის პრესამდელ ჟურნალისტიკას, ანუ ჟურნალისტური აზროვნების, ჟურნალისტური სტილისტიკის ნიმუშებს, ჟურნალისტურ ელემენტებს პრესამდელ ტექსტებში.

არ შევედგებით ტიმოთე გაბაშვილის ერთი საღვთისმეტყველო და ორი ისტორიულ-ფილოლოგიური კითხვისა თუ მათზე ევგენიოს ბულგარისის პასუხების კონტენტ-ანალიზს და ვიტყვით მთავარს: თუმცა კითხვა-პასუხი აქ რამდენადმე პერიფრაზულია, ჟურნალისტური ინტერვიუს ფორმის დღევანდელი გაგებით, იგი უფრო მეტადაა ინტერვიუ, ვიდრე ამ ჟანრის პირველ ნიმუშებად მიჩნეული ის ამერიკული ტექსტები, რომლებზეც ზემოთ გვეყონდა საუბარი. მეტი რა, რომ იგი პრესაში არ გამოქვეყნებულა და მხოლოდ წიგნის ერთი ფრაგმენტია. მეტი რა, რომ იგი არ არის ჩანერილი ჟურნალისტიკის მიერ და საერთოდ, როცა ეს ინტერვიუ შედგა, სიტყვა „ჟურნალისტიკა“ არც კი არსებობდა.

და საერთოდ, რა არის ჟურნალისტიკა? საიდან და როგორ გაჩნდა იგი? ამის შესახებ დანერვილებით ვნერო ჩვენს

გამოკვლევაში „ქართული ჟურნალისტიკის გენეზისისათვის“ (2008), ამიტომ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ და მხოლოდ ჟურნალისტიკის ჩვენულ დეფინიციას გავიხსენებთ:

ჟურნალისტიკა არის ფართო საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნით აქტუალური ინფორმაციის მოპოვების, დაფიქსირების, დაგროვების, დამუშავებისა და მასობრივი გავრცელების შემოქმედებით თუ ტექნოლოგიურ ფორმითა ერთობლიობა.

ისტორიულ დისკურსში ჟურნალისტიკა არსობრივად ორად განიხილება: ტექნოლოგიების თვალსაზრისით, იგი ინფორმაციის გავრცელების საშუალებებთანაა დაკავშირებული, მთლიანად არის დამოკიდებული სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესზე და მის პარალელურად ვითარდება; შემოქმედებითი თვალსაზრისით კი ჟურნალისტიკა სინამდვილისადმი დამოკიდებულებისა და მისი ასახვის ფორმას წარმოადგენს.

თუმცა ტექნოლოგია დიდად განაპირობებს ჟურნალისტიკის ამა თუ იმ ფორმის თავისებურებებსა და განვითარებას, იგი მაინც მეორადია და ჟურნალისტიკა, როგორც კრეატივი, როგორც შემოქმედების ფორმა, შეიძლება მის გარეშეც არსებობდეს. გაზეთი და ჟურნალი, თავისთავად ჟურნალისტური ტექნოლოგიაა, მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი, ყველაფერი, რაც გაზეთსა და ჟურნალში იბეჭდება, ჟურნალისტიკა იყოს. მეორე მხრივ - შეიძლება ტექსტი, რომელიც ჟურნალისტური ტექნოლოგიით არ გავრცელებულა, თავისი არსით სწორედაც ჟურნალისტიკას წარმოადგენდეს.

თანამედროვე პირობებში ჟურნალისტიკისთვის, როგორც შემოქმედებითი აქტისათვის, აუცილებელია ადეკვატური ტექნოლოგია, თუმცა როცა ჟურნალისტიკის გენეზისზე, მის პირველ ნიმუშებზე ვსაუბრობთ, ეს სულაც არ არის აუცილებელი. ჟურნალისტიკა, როგორც შემოქმედებითი პროცესი და ჟურნალისტიკა, როგორც ტექნოლოგიური გარემო, თავდაპირველად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იქმნებოდა თუ ვითარდებოდა და ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული დროითი ინტერვალით იყო ერთმანეთს აცდენილი.

ასეა ამ ახალმოჩენილი ინტერვიუს შემთხვევაშიც, რომელსაც ავტორი „სიტყვისგებას“ უწოდებს. როდესაც იგი შედგა, მის ავტორს არ ჰქონდა მისი ადეკვატური ტექნოლოგიით რეალიზაციის საშუალება, რადგან ასეთი ტექნოლოგია მისთვის ხელმისაწვდომ სივრცეში იმხანად არ არსებობდა.

თავისი ტექსტის „გამოქვეყნება“ ტიმოთე გაბაშვილს მხოლოდ ხელნაწერის სახით შეეძლო, რაც გააკეთა კიდევ ასე რომ, ტექსტის პუბლიკაცია შედგა; მართალია, არა პრესაში, არა რადიო-ტელევიზიაში ან ინტერნეტში, არამედ მხოლოდ წიგნში. მაგრამ განა წიგნი კი არ არის მასობრივი ინფორმაციის საშუალება? ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ პირველი გაზეთი გამოიქვეყნდა, იგი მასობრივი ინფორმაციის პირველი მატერიალური საშუალება იყო. ჯერ კიდევ პირველი გაზეთების გამოსვლამდე განა წიგნებად არ იბეჭდებოდა მსოფლიოს პირველ ჟურნალისტად შერაცხილი პიპიტრო არაქინოს ეპისტოლეები, რითაც, მკვლევართა აზრით, საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე ჟურნალისტიკას? საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ტიმოთე გაბაშვილის წიგნის პირველი, პლატონ იოსელიანის ელული გამოცემა, რომელიც 1852 წელს განხორციელდა, ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ინტერვიუთა პირველ სრულყოფილ ამერიკულ ნიმუშებს და თავად სიტყვა „ინტერვიუსაც“.

ვიკიპედიის სტატიის ციტირებული შრაგვნიტი და მისი სქოლიო

Screenshot of a Wikipedia article titled 'Interview (journalism)'. The article text includes: 'A journalistic interview takes the form of a conversation between two or more people. Interviewer(s) ask questions to elicit facts or statements from interviewee(s). Interviews are a standard part of journalism and media reporting. In journalism, interviews are one of the most important methods used to collect information, and present views to readers, listeners, or viewers.' It also lists contents like History, Publications, and references.

იმ მთავარი ინტერვიუს გარდა, ტიმოთე გაბაშვილის თხზულებაში მრავლადაა ადგილები, რომლებშიც ჟურნალისტური ინტერვიუს ერთგვარი ჩანასახი იკვეთება. ამ ადგილებში ტიმოთე გაბაშვილი ინფორმაციის მოპოვების შემდგომში ინტერვიულ სახელდებულ ფორმას ამა თუ იმ მონასტრის ან ეკლესიის აღმშენებლის სახელის გასაგებად იყენებს და თავის კითხვებზე ამომწურავ პასუხებსაც იღებს. მისი დაინტერესება მონასტრების ისტორიით, რა თქმა უნდა, ბუნებრივია, მაგრამ უჩვეულოა თავად ფორმა, როცა ავტორი აშიშვლებს მის მიერ მასალის მოპოვების მეთოდს - ამ შემთხვევაში კითხვა-პასუხს, მისებურად - სიტყვისგებას, ანუ ინტერვიუს, რაც ჟურნალისტური ტექსტის მახასიათებელია და არა ისტორიულია.

მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გაბაშვილის „მიმოსვლის“ ის ადგილია, სადაც იგი ნამდვილ ინტერვიუს იღებს კონკრეტული, სახელისა და გვარის მქონე, თანაც დიდად გამოჩენილი პიროვნებისაგან. „ინტერვიუერი“ ტიმოთე გაბაშვილი სახელოვან ათონელ ღვთისმეტყველს მის სახელში ეწვია და, როგორც დღეს ვიტყვით, რამდენიმე კითხვით მიმართა მას. თანაც ტიმოთე ისეთ „მარტივ“ კითხვებს როდი უსვამს თავის რესპონდენტს, ანუ „ინტერვიუერებულს“, როგორც, ვთქვათ, ამა თუ იმ მონასტრის აღმშენებლის კინაობაა.

აი, ის ინტერვიუ:

„და ვკითხვავდი ევგენიოს ღვთისმეტყველებითისა კლით თხრობისა მისთვის საუფლოსა მის ამაღლებულსა კაცისათვის, ძრისტის ხორცთა საღაოვასა, - ვინათგან გარამუხარაილისა თანა ერთ არს ხორცი ძრისტისა? -“

სოლო იგი მიტყდა: გარამუხარაილთა გარამუხარაილთა - ზღვება მიცნებართა. არამედ ესრეთ გვხვას და აღვირახთა უთქმამთა ამათ ღაქსთა, ვითარამედ: ღმერთი გარამუხარაილსა კაცსა შორის ესრეთ არს, ვითა გონება სულსა შორის. რამეთუ სული ერთსა აღვილსა არს, სოლო გონება გარამუხარაილად მიიწვდომის, განუტრიალსა თვისებასა ურთიერთსა, გინა ესა სხე, ვითარცა: გვამი ერთსა ალბასა მდგომ, არამედ თვალი ცხეთა და ძვეყანათა მსწრაფლ მოვლის, ეგრეთვე სიტყვა ღმერთისა გვამოვნებით მისდა შეერთებულსა კაცისა უმწვრვალესისა მყოფობისათვის უსაშუალოდ და გარამუხარაილად ღვთაებით გარამუხარაილად ჰქიას.

და კვლად ვკითხვავდი: ვითარ და რასათვის ქართველთ შაანია ეწოდებისა და შაანითა ქართველი? სოლო იგი უპასუხისა პრჩინსა ვისეა მელატიონისა ნიგნისაგან აღმოიქმნებოდა და გვამუხარაილად, ვითარამედ შამსა ალბასანდრა მკაქლოელისა შაანითა მრავალნი მისრულან ქართლად, და კვლად შამსა ოხრეხასსა ქართლისა ქართველი მეფე და ღიღებულნი წარსრულან შაანად. და მათნი მეფენი და მთავარნი ნათესავნი არიან ქართველთა, და მდინარესაცა მათსა ქართველთი ეწოდება. სოლო მე მსამეოდეს ქართლით, ვითარამედ ალბასანდრა მკაქლოელად აღიღო ქართლი და მცველნი ფრანგნი განაწესაო ქართლად, და ან ახნაურნი დანაშთობნი მუხითგან არიანო, და შამსა ესენი ერთად.

კვლად ვკითხვავდი გიორგიანობისათვის, თუ რისათვის ფრანგნი და მრავალნი ქართლს გიორგიანად უწოდებენ და თურქნიცა, ვითარამედ გურჯნი? სოლო იგი მიტყდა, ვითარამედ წერილ არსო მისთვის, ვითარამედ მეფენი საქართველოსანი დროშათა ზედა სხეისა წმინდისა გიორგისა აღვართვანად, და ამისთვის უწოდეს გიორგიანად, და კვლად ცხადთა სხნაშუთათვის წმინდისა გიორგისათა ქართლად ქმნულთათვის.“

ტიმოთე გაბაშვილისა და ევგენიოს ბულგარისის სიტყვისგებაში მკაფიოდაა გამოკვეთილი ინტერვიუს ყველა ნიშანთიხება:

არის გამოჩენილი, პატივსაცემი, პოპულარული ინფორმაციისა და ცოდნის მატარებელი პიროვნება.

არის მისით აღფრთოვანებული, მასთან შეხვედრით მოწონებული „ჟურნალისტი“, ელენე მეტრეველის სიტყვებით - „მეცნიერი-ტურისტი“, რომელიც მისგან ინფორმაციის და ცოდნის მიღებას ესწრაფვის.

არის კითხვები, რომლებიც საზოგადოებრივად აქტუალურია.

არის პასუხები, რომლებიც საინტერესოა არა მარტო კითხვის დამსმელისთვის, არამედ ადამიანთა საკმაოდ ფართო წრისათვის.

არ არის არავითარი კამათი, იმის მიუხედავად, რომ „ჟურნალისტი“ მაღალი იერარქია და შეიძლება დასაძულ კითხვებზე თავისი, მოპასუხისაგან განსხვავებული პასუხებიც აქვს.

ფაქტობრივად, არ ჩანს არავითარი დისტანცია შემდგარ საუბარსა და მის ტექსტადქცევას შორის.

ევგენიოს ბულგარისი ერთობ სკანდალური ფიგურა იყო, სწორედ ისეთი, როგორც დღეს ასეთი გააფრთხილებით ნადირობენ ჟურნალისტები.

როგორც „მიმოსვლის“ ტექსტიდან ირკვევა, ტიმოთე გაბაშვილი ევგენიოს ბულგარისს პირველად ვათოპედის ლავრაში შეხვედრია 1756 წლის 25 მარტს, ხარება დღეს. სოლო ინტერვიუ შედგა იმავე წლის აპრილში, კვირაცხოვლობის შემდეგ, ათონის დედაქალაქ კარეასში, ევგენიოს ბულგარისის საღვთისმეტყველო სკოლაში.

დაბოლოს, ჟურნალისტიკის არქეოლოგიის შუქზე უნდა დავასკვნათ, რომ:

სანამ ინტერვიუს მატრიცას მორგებული უფრო ძველი ტექსტი არ აღმოჩნდება, თუ საერთოდ არსებობს ასეთი, მანამდე ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობის წიგნში შეტანილი მისი კითხვა-პასუხი ევგენიოს ბულგარისთან პირველი ინტერვიუა ჟურნალისტიკის ისტორიაში.

პაატა ნაცვლიშვილი

დაპითგარეჯი: რვენს გამარჯვებას წინ ვერაფერი დაუდგება!



ვერავითარი სართაშორისო ორგანიზაციები ვერ მოახდენენ ზენოლას საქართველოზე ბოლშევიკური ხელისუფლების დროს ნაკალადავად გადასემული ტერიტორიების გაყო

- ას წაღზე მეტია, საქართველო-აზერბაიჯანის ამ მონაკვეთზე საზღვრის გამიჯვნის საკითხი ვერ მოგვარდა. როგორ გესახებათ პრობლემის მოწესრიგება, რათა არც ჩვენ დაზარალდეთ და არც სტრატეგიულ მეზობელთან გვეჭიდეს სადავო?

- უმთავრესად უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების უნიათობა, ჭირვეულობა და ინდიფერენტულობა შესამჩნევია. აქედან გამომდინარე, ჩვენს ეკლესიას ემატება პასუხისმგებლობა და უფრო მეტად უმძაფრდება ვალდებულება, რადგან სათანადო ორგანოები არ არიან მონოდედების სიმალეზე. ზალკალიანის განცხადება, რომ მან ინფორმაცია სატელევიზიო სივრციდან შეიტყო, იყო ძალიან არაადეკვატური, რადგან სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი და ყველაზე საკვანძო სამინისტრო, პირველ რიგში, უნდა იყოს ინფორმირებული ასეთ საკითხებთან მიმართებით და მმართველი გუნდი საკუთარი საზოგადოების წინაშე უნდა გრძნობდეს მოქარბებულ პასუხისმგებლობას.


რაც შეეხება ამ პრობლემის მოგვარების გზას, რა თქმა უნდა, ეს გზა არსებობს. დელიმიტაციის საკითხი და სადემარკაციო-სასაზღვრო საზის დადგენა მრავალწლიანი კვლევის შედეგად უკვე დადასტურებულია, უბრალოდ, მას სჭირდება პოლიტიკური ნება, პატრიოტული, პრინციპული პოზიცია, რომელიც ჩვენს ხელი-სუფლებას არ გააჩნია. არც იმას გამოვიცხავ, გარკვეული ტიპის ბიზნესკარტელი არსებობდეს „სოკართან“ მიმართებით, რომელიც ცალკეული კერძო სუბიექტებისთვის უფრო მეტად ხელსაყრელი, სარფიანი და მომგებიანია, ვიდრე სახელმწიფო ინტერესები.

გარკვეულ ეჭვს ბადებს, ხელოვნურად რატომ ხდება ამ კონფლიქტის ინსპირირება იმ ფონზე, როდესაც მესამე ძალა - რუსეთი მუდმივად მომხდურის როლშია და სარგებლობს ამიერკავკასიაში დესტაბილიზაციით. შესაძლოა, რუსეთი ამ შემთხვევაშიც აღმოჩნდეს სადამსჯელო ძალა და მან წესრიგის „აღდგენა“ სხვადასხვა ფორმით სცადოს, როგორც მინიმუმ, ქაოსის შემოტანით. ეს არის ყველაზე დიდი საფრთხის შემცველი და გასათვალისწინებელი ფაქტორი, ამიტომ ხელისუფლება ორმაგად ვალდებულია, როგორც გარე საფრთხეები, ისე შიდა მოსალოდნელი უთანხმოება აღკვეთოს, რაც უკვე აშკარაა. საზოგადოების რაღაც ნაწილი დავით გარეჯთან მიმართებით შექმნილ პრობლემას პროვოკაციად აფასებს, ნაწილი ემოციურად უდგება საკითხს და იმპულსურ განცხადებებს აკეთებს, ზოგიერთები ისტორიული ნარატივით საზღვრავენ, რომ არათუ დავით გარეჯი, არამედ ისტორიული კახეთი, ჰერეთად წოდებული, საინგილო ტერიტორიაც უნდა დაუბრუნდეს საქართველოს.

გვესმის, რომ აზერბაიჯანი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, მაგრამ არც ისე იოლი აღმოჩნდა ამ სტრატეგიულ პარტნიორთან დავითგარეჯის კუთვნილების საკითხის გარკვევა. აზერბაიჯანელები ცდილობენ, ისტორიული კავკასიის ალბანეთის ნაწილად წარმოაჩინონ თავი, რომელიც მე.წ.აღ-მდე მე-4 საუკუნიდან მოყოლებული არა მარტო თანამედროვე აზერბაიჯანის გერიტორიას, არამედ საქართველოსა და სომხეთის გერიტორიების ნაწილსაც მოიცავდა.

აზერბაიჯანელებს ალბანელების მემკვიდრეობად თავის წარმოჩენა იმ მოგივითაც აწყობთ, რომ ფიქრობენ, სომხეთთან დავის მოგვარების გასაღები სწორედ ალბანურ მემკვიდრეობაზე გადის. კერძოდ, თავის დროზე რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა ალბანური კულტურის მემკვიდრეობად, ქრისტიანული სარწმუნოებიდან გამომდინარე, სომხები გამოაცხადა, როდესაც ალბანური ეკლესია გააუქმა და მისი ქონება სომხებს უბოძა. აზერბაიჯანელები ამით დაზარალებულებად თვლიან თავს და მიიჩნევენ, რომ სომხებს არასწორად ერგოთ ეს გიგული. შესაბამისად, ქართულ მხარესთან მიმართებითაც ცდილობენ, ალბანური კულტურის მემკვიდრეობად გამოაცხადონ თავი.

რა პერსპექტივა აქვს ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობას დავითგარეჯის პრობლემის მოგვარებაში? ამის შესახებ დღეს თეოლოგი გიორგი ტიშინაშვილი გვესაუბრება.



როდესაც ვდავობთ საკითხზე, უნდა დავეყრდნოთ ისტორიულ სინამდვილეს და განვსაზღვროთ, რომელი პერიოდიდან დავიწყობთ ათვლა. რეალურად, ათვლა საიდანაც უნდა დავიწყობთ. ეს მნიშვნელოვანია და უნდა ვიცოდეთ, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნებიდან ვინცებთ ათვლას თუ ანექსიიდან, გასაბჭოებიდან, ან კომუნისტური პერიოდში შექმნილი რუკებიდან. ამას სჭირდება ორმხრივი კომისია და ძალიან მარტივია ამის დადგენა. ჩემთვის, როგორც თეოლოგისთვის, კიდევ ერთი საკითხია მნიშვნელოვანი, 1997 წელს ჩვენმა ეკლესიამ დატოვა ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, სადაც სხვადასხვა კონფესიები, დენომინაციები და რელიგიური სუბიექტები იყვნენ გაერთიანებული. აქ ძირითადად უფრო ქრისტიანულ სუბიექტებზეა საუბარი, თუმცა ამან მრავალრელიგიური სახეც შეიძინა შემდგომ წლებში. ეს საერთაშორისო ტრიბუნა და ფორუმი, რომელზეც საქართველოს ეკლესიას საპატიო ადგილი ეკავა და კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე იყო ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი პრეზიდენტიც კი, რუსეთის წინეის შედეგად ჩვენ დავეკარგეთ, რადგან საქართველომ დატოვა ეს ორგანიზაცია. არადა, სადღესოდ ეს ფორმატი გამოგვადგებოდა იმისთვის, რომ ჩვენი კულტურული კვალის ავთენტურობაზე საერთაშორისო სარბიელზე გვემსჯელა და დაგვედასტურებინა იმის ლეგიტიმურობა, რომ ყველა პარამეტრით, როგორც ხუროთმოძღვრული, არქიტექტურული, ისე ფერწერული კუთხით, ასევე, ნაკანრი და ეპიგრაფიკული წარწერებით, საფლავებით, აბსოლუტურად ყველა ასპექტში დავითგარეჯი არის ქართული საგანმანათლებლო სამონასტრო კერა და არავითარი ალბანური წარმოშობა მას არ გააჩნია.

დავითგარეჯი: ჩვენს გაგარჯვებას წინ ვერაფერი დაუდგება!

(მამუილა გაგარეჯი)

— მათ შორის, საუბარია დავითგარეჯის კომპლექსში შემავალ ჩიჩხიტურზე, უდაბნოსა და ბერთუბანზე, სადაც თამარ მეფის ფრესკა შემორჩენილი, რომლებიც საქართველოს გასაბჭოების შემდეგ აზერბაიჯანის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

— რა თქმა უნდა, ეს არის მთელი კომპოზიცია, სამონასტრო კომპლექსი. ჩიჩხიტურიც, ბერთუბანიც ერთიანდებოდა ამ კომპლექსში, იქ იყო 24 ტაძარი, რომელიც ამ სამონასტრო კომპლექსთან იყო დაკავშირებული.

— არის ასეთი არგუმენტიც, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცივილიზებულ მსოფლიოში საზღვრების გადახედვა არ ხდება და საზღვრების გადახედვა ნიშნავს ომს, ამიტომ ისტორიას არ უნდა მოვუხმეთ.

— საზღვრების გადახედვა რომორ არ ხდება. სულ რაღაც 10-15 წელია, რაც ჩვენს დავაში სკოლაში გაიქცა. რა თქმა უნდა, გაიქცა წინააღმდეგობა არის, ის შეუძლებელია, მაგრამ, მეორე მხრივ, საზღვარი გადახედვას ექვემდებარება, თუკი ორივე მხარე ორმხრივ კომუნიკაციას აწყობს. ამის რამდენიმე არსებობს თუნდაც იმავე საერთაშორისო კონვენციებისა. ნახსენებია დროს შესაქმებელია ამის გადახედვა. აბა, ჩრდილოეთი გაკედლია ახლად დაფუძნდა სახელმწიფოდ და საპარტნიორო მხარესა შთაბრუნებებს, ეს გუნდაზრის, თანამდებრივობისა და ნორმალური ანაზრის და დიპლომატიის, მსჯელობის, ოღონდ რაღაც საფუძვლი უნდა ჰქონდეს ანაზრის და არ უნდა იყოს სეპარატისტული ალტერნატივა ნასაზრდოები. ამ შემთხვევაში, ჩვენ ვითხოვთ იმას, რომ ეს საზღვარი არასდროს განსაზღვრულა.

27 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 1992 წელს შეიქმნა ორმხრივი კომისია და კვლავაც პროცესშია ეს საკითხი. ეს თემა რომ არ იყოს დაძრული და ორივე მხარე არ ყოფილიყო გამსჭვალული იმ მიზანსწრაფვით, რომ დაგვედგინა საზღვრები, მაშინ კიდევ ვიმსჯელებდით, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო ომის ინსპირაცია, მაგრამ ასე არ არის. ამ საკითხის ამგვარი სტიგმატიზაცია მორალური თვალსაზრისით დანაშაულად მიიჩნევა.

— ამ საკითხთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს, აქცია-მსვლელობას, კავკასიის სამივე ერის დროშების აფრიალების ჩანაფიქრს ზედმეტად მიიჩნევთ?

— რა თქმა უნდა, ხელოვნურად ხდება ტემპერატურის აწევა. ამ საკითხთან მიმართებით სომხეთს თავისი ინტერესები აქვს, სპეცსამსახურებს თავიანთი ინტერესები. საქართველო ყველაზე მონყვლადია ამ თვალსაზრისით, რადგან სიღარიბეა ჩვენს ქვეყანაში

და აგენტურა ძალიან მძლავრად მოქმედებს. ყველას თავისი ინტერესი აქვს ჩვენს რეგიონში და ჩვენ ბენვის ხიდზე გასვლა გვინდვს. არც ერთ შემთხვევაში ქსენოფობიური, შოვინისტური, რასისტული განცხადებები არ უნდა გავაკეთოთ, ჩვენ პატივს ვცემთ ყველა აზერბაიჯანელს, მაგრამ ჩვენ გვაქვს სახელმწიფო ინტერესები და, უბრალოდ, ვითხოვთ იმას, რომ ერთხელ და სამუდამოდ დავადგინოთ საზღვარი. ეს გავაკეთოთ ისე, რომ არ მივიღეთ სამხედრო კონფრონტაციამდე.

— წლების განმავლობაში აზერბაიჯანი სხვა ტერიტორიის სანაცვლოდ გადაცემას არ თანხმდებოდა. რა გარანტიაა, რომ ახლა დაგვთანხმდება?

— ეს მაინც ვაჭრობის საგანია, რაღაცის სანაცვლოდ უნდა მოხდეს ტერიტორიის გაცვლა. საქართველო უნდა იყოს საიმისოდ მონდებული, რომ აზერბაიჯანს დაუსვას ეს საკითხი. ჯერ ერთი, წმინდა მორალური თვალსაზრისით, საქართველოში ნახევარი მილიონი აზერბაიჯანელი აბსოლუტურად ხელშეუხებლად, მშვიდობიანად თანაარსებობს ეთნიკურ ქართველებთან. 330 მეჩეთია საქართველოში მაშინ, როდესაც საინგილოში ერთი ქართული ტაძარიც არ ფუნქციონირებს. ეს ცალმხრივი ძმობის გამოხატულებაა და, ამდენად, დამამცირებელია. შეიძლება, გადაიხედოს თუნდაც იმავე აზერბაიჯანის მიერ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციები, ორმხრივი ხელშეკრულებები, გარკვეულწილად, ჩვენც უნდა ვივაჭროთ და სასწრაფოდ დავდოთ რაღაცები, პოლიტიკაში ასე ხდება ყოველთვის. მთავარია, საქართველოს სახელმწიფოს აღმოაჩნდეს გამბედაობა და ღირსება. ჩვენ შეგვიძლია საერთაშორისო ტრიბუნის დახმარებით ჩვენზე გულისწადილი ავისრულოთ ისე, რომ ამაში არაფერი მიტაცებული, მტაცებლური და აგრესიული არ იყოს. ჩვენ ხომ არ ვითხოვთ, რაც არ გვეკუთვნის, ან რაც არ ყოფილა.

— სწორად პარალელები მოჰყავთ ტაო-კლარჯეთთან მიმართებით, რომელსაც ვერ ვიბრუნებთ. რით განსხვავდება დავითგარეჯისა და ტაო-კლარჯეთის შემთხვევები?

— იმის სანაცვლოდ, რომ თურქეთს ელიარებინა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ზვიად გამსახურდიას დროს ჩვენ დავდეთ თურქეთთან შეთანხმება, რომ არასდროს ტაო-კლარჯეთის საკითხს არ გადავხედავდით. საინგილოს თემა კი ამისგან განსხვავებულია, რადგან, პირიქით, თავის დროზე იქ კომისია იმისთვის შეიქმნა, რათა საზღვარი დადგენილიყო. საზღვრის დადგენაში სულაც არ იგულისხმებოდა დავითგარეჯის დათმობა.

— ქართული მხარის არგუმენტი შეიძლება ისიც იყოს,

რომ ორჯონიკიძის შემდეგ ჩვენი ტერიტორიების გასხვისებას ჩვენ არ ვეთანხმებით, რადგან საბჭოთა გადაწყვეტილებების სამართალმემკვიდრეები არ ვართ, ეს ყველაფერი ჩვენგან დამოუკიდებლად, თავისთავად საბჭოთა რეჟიმის მიერ წყდებოდა.

— რა თქმა უნდა, პერსპექტივაში, თეორიულად, ჩვენ ტაო-კლარჯეთის საკითხის დაძვრაც შეგვიძლია, მაგრამ ეს მხოლოდ მას შემდეგ უნდა მოხდეს, როდესაც საქართველოს ეკონომიკა, სახელმწიფოებრიობა, სამხედრო პოტენციალი ძლიერი იქნება. დღესდღეობით თურქეთთან კონფრონტაცია ჩვენთვის დამლუბველი იქნება. როგორც წესი, ასეთი საკითხები მშვიდობიანად წყდება ხოლმე. ერთადერთი, ასეთ საკითხებს ბრძოლით აგვარებს რუსეთი, რომელსაც ამის პოტენციალი აქვს. რაც შეეხება დავით გარეჯს, კარგა ხანია, შეთანხმებულია, რომ ეს არის გასარკვევი საკითხი, ამიტომ ვერავითარი საერთაშორისო ორგანიზაციები ვერ მოახდენენ ზენობას და წნეხს საქართველოზე ბოლშევიკური ხელისუფლების დროს ნაძალადევად გადაცემული ტერიტორიის გამო. თვით ბოლშევიკების მიერ აღწერილი რუკებითაც კი, დავითგარეჯი საქართველოს გუბერნიაში იყო მოქცეული. ანექსიის დროინდელი ძველი რუკებიც მიუთითებს იმას, რომ ჩიჩხიტური და ბერთუბანიც ჩვენი იყო. ოდესმე მაინც ეს ძეგლები აზერბაიჯანული რომ ყოფილიყო, როგორც მიწაში, აზერბაიჯანიდან გზა იქნებოდა გაყვანილი. ის ფაქტი, რომ იქ არ არის გზა გაყვანილი, არც ერთი არაქართულენოვანი წარწერა არ მოგვეპოვება კედელზე, არც ნაკანრი წარწერა, არც ეპიგრაფიკული, არც ერთი ქტიტორი, არც ერთი ალბანელი წმინდანი იქ არ არის დაკრძალული და არც უცხოური წყაროები ადასტურებს ამას, ნიშნავს, რომ ამაზე კამათი აბსურდია.

დავითგარეჯი არის საქართველოს კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის სინდისი, ეს არის სიმბოლო ქართული საგანმანათლებლო ისტორიისა, სულხან-საბა ორბელიანი იქ აღიკვეცა ბერად, დავით გარეჯში 1616 წელს 6 ათას გარეჯელ ბერს თავი მოჰკვეთეს შაჰ-აბასის დროს.

— ასევე, დავითგარეჯში მოღვაწეობდა დემეტრე-დამიანე, დავით აღმაშენებლის ვაჟი, რომელმაც ღვთისმშობელს საგალობელი „შენ ხარ ვენახი“ მიუძღვნა.

— დიხ, დემეტრე-დამიანეზე რომ არაფერი ვთქვათ, დავითგარეჯში ცხოვრობდა საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი მე-12-ც, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. ჩვენთვის დავითგარეჯი საკრალურია და არ არის მხოლოდ სამონასტრო რიგითი კერა.

— საზღვრის დამდგენმა კომისიებმა მრავალჯერ იმუშავეს, მაგრამ დღეს ზოგიერთისგან გვესმის, რომ კომისიის წევრები გაიყიდნენ და გაყიდეს საქართველოს ინტერესები დავითგარეჯთან მიმართებით. საეჭვო გარიგებების შესახებ ეჭვი თქვენც გინდობთ?

— რთულია ამის თქმა. უბრალოდ, ისეთ სახელმწიფოში ვისურვებდი ცხოვრებას, რომელსაც კავკასიურ ქვეყნებთან საზღვრები მაინცდამაინც განსაზღვრული არ ექნებოდა და ჩვენს შორის მეგობრული მისვლა-მოსვლა იქნებოდა. მაგრამ, რაკი საზღვარი ჩვენი სარწმუნოებრივი ცხოვრების შუქურაა, ამიტომ აქ საჭიროა, გაივლოს გარკვეული მიჯნა, საზღვარი, მით უფრო, როდესაც აზერბაიჯანი ურცხვად შეურაცხყოფელ განცხადებას აკეთებს და დავითგარეჯის კომპლექსის იდენტიფიცირებას ახდენს ალბანურ კულტურასთან. მეც არ გამოვრიცხავ, საზღვრის დამდგენ კომისიაში ზოგიერთი მოისყიდეს, ზოგიერთმა კონიუნქტურასა და სახელი-სუფლებო დაკვეთას ვერ გაუძლო ამა თუ იმ ხელისუფლების პირობებში, მაგრამ ეს მარჩიელობის საგანია. თუკი მოიქცევი კომისია იქნება და საერთაშორისო ორგანიზაციებიც ჩაერთვებიან და დააკვირდებიან, რამდენად მყარი და უტყუარი არგუმენტაცია გვაქვს, ჩვენს გამარჯვებას წინ ვერაფერი დაუდგება. ამიტომ ახალი მონაწილეებისგან, არაანგაჟირებული ადამიანებისგან დაკომპლექტებული კომისიები უნდა შეიქმნას, რომლებსაც ბიზნეს და სხვა ინტერესები არ ექნებათ.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

სამეფო კლუბის ახალი გეგმები მონარქიის აღდგენისა

სამეფო კლუბი, რომელშიც მონარქიის აღდგენის მსურველები არიან განწევრებული, 7 წლის უფლისწულ გიორგი ბაგრატიონის გამეფებას გეგმავენ.

მათ გუშინ პრეზენტაცია გამართეს და განმარტეს, რომ არასრულწლოვან უფლისწულს რეგენტთა საბჭო გაუწევს კონსულტაციას. გიორგი ანა ბაგრატიონ-გრუზინსკისა და დავით-ბაგრატიონ მუხრანელის შვილია.

სამეფო კლუბის წევრების თქმით, მეფე მაგალითი უნდა იყოს. როგორც „სამეფო კლუბის“ წევრმა დავით კლდიაშ-


ვილმა განაცხადა, მეფე იქნება „ისტორიის წარმომადგენელი“ და არ იქნება დაპირისპირებული რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან.

„სამეფო კლუბის“ კიდევ ერთი წევრი ირაკლი დათუკიშვილი კი ამბობს, რომ მეფე უნდა იყოს მართლმადიდებელი, უნდა ჰქონდეს წაკითხული „ვეფხისტყაოსანი“ და მაგალითს აძლევდეს ხალხს.

ერეკლე მეფეს ექიმმა რჩევა მისცა, რომ ქათმის ბულიონი მიეღო. რას ამბობს, ქათმის ბულიონი რომ მარხვაში შევჭამო, ხალხისთვის რა მაგალითი იქნე-

ბაო. აი, ასეთი უნდა იყოს საქართველოს მეფე, — ამბობს დათუკიშვილი.

ცნობისთვის: ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი მსოფლიო მშვიდობის დამცემი ბაგრატიონ-მუსრანელი ფიზიკური კალაძობაში დაადასტურა. გარდა ამისა, სასამართლოში უჩივლა ქონების გაყოფის მოთხოვნით. იგი ასევე, ითხოვდა დან-ის სანაღიზს იმის დასამტკიცებლად, რომ დავით ბაგრატიონ-მუსრანელმა გვარი მიითქმინა და ის სამეფო კარის წარმომადგენელი არ არის. ამ საქმის წარმოება სასამართლომ შეწყვიტა.



ელაზი კალაიტი


პირადი დაკვირვებით დაფრ- მუნდი, ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია მეორისგან რაღაცით, თუნდაც უძრავობით გამოირჩევა. კომუნისტების მმართველობის პერიოდში, რომ იტყვიან, მართლაც უძრავად, მოსვენებულად ვიყავი, მთელი ცხოვრება ისე უზრუნველად გაგატარე, ამერიკული დოლარი ერთხელაც არ დამისზრებია. ამ დროს კი ხელიკისფერი ვალუტა თურმე მთელ მსოფლიოს აზანზარებდა: „დოლარის კურსი ავარდა! დოლარის კურსი დაეკარდა!“ - იყო ერთი გულხეთქება და ციებ-ციხელება.

რის კურსი, რა კურსი. ზაფხულობით, როცა ქალაქში პაპანაქება ხვადი ჩამოწვებოდა, ზღვისპირეთს მივყურებდი, ვინეტი ჩემთვის პლაჟზე არხინად და ცხრათვალა მზეს ვეფიცებოდი. თურმე სადა ხარ, ერთ მშვენიერ დღეს „ხელიკი“ ჩვენს პლაჟზეც გამოჩნდა (როგორც ამბობენ, ბანანსა და პეპსის შემოპყვა) და მოაგარაკენი სულ კინისკვრით წამოგვყარა.

მას შემდეგ რა აღარ გადავიტანეთ. „ხელიკი“ ჯერ ჩვენს პირველ ეროვნულ ვალუტას - კუპონს დაეტყავა, წამში ბღღვირი აღინა და ის რომ მოინადირა, არ შერცხვია და უმალ ახალშობილი, სულ თოთო ლარის გალახვა მოინადინა. მოინადინა კი არა, უკვე უთვალავჯერ შემოელახა კიდევ. გაგონილა ასეთი უსინდისობა, აბორიგენ ვალუტას უცხო შემოვივარდეს და საკუთარ ქვეყანაში აღარ გაჩერებდეს!

აბა რა წესია, დოლარის შიშით მთავრობას მასწავლებლებისთვის ხელფასი და მოხუცთათვის ხეირონად პენსია ვეღარ გაუზრდია. გაჩნდება თუ არა ხალხის ჯიბეში ფული, იმავე წუთში საგალუტო ბირჟაზე ლარის კურსი ვერცხლის წყალივით ჩამოქანდება. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, ამ საქმეში მასწავლებლებთან ერთად პენსიონერები და ლტოლვილებიც ტყუიან - ჩაიგდებენ თუ არა ხელში ფულს, მაშინვე ბაზარში გაქანდებიან. დოლარიც მელასავით იქვე ჩასაფრებული, თვალს მოჰკრავს თუ არა ლარის ყელყელაობას, ეგრევე ფეხში სწვდება და საჭიდაო ხალიჩაზე მიარბენინებს, სადაც მათი შერკინება, როგორც წესი, ახალგაზრდა, ჯერ კიდევ გამო-

დოლარს ლარი ისევ უამოქმედებს!



უცდელი ლარის მარცხით მთავრდება.

აღრე კიდევ რა გვიჭირდა, სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი არუნაზე გაყოფილულ თავიანთ ფალავანს სხვადასხვა მეთოდით ტუქსავდნენ, მაგრამ შემდეგ მოსწყინდათ და ქართველ ხელისუფალთან შეთანხმებით, ლარი და დოლარი „თავისუფალ ცურვაზე“ მიუშვეს.

ახლა ვითომ ჩვენი ეროვნული ბანკი და კომერციული ბანკები ექიძილავებიან დოლარს, მაგრამ რას გახდებიან? ხანდახან თურმე ზოგი ბანკი მიპარვით „შუაკაურსაც“ გამოსდებს ხოლმე და ქულასაც ართმევს (სათავისოდ კაიძალ „მაყუთს“ აკეთებს), მაგრამ არა დოლარის, არამედ ქვეყნის ლარიში ეკონომიკისა და მშენიარ ხალხის ჯიბის ხარჯზე.

ეს ყველაფერი ცნობილია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ასეთ გაჭირვებულ ყოფაში ლარი, როგორც დღეს არის (მისმა კურსმა დოლართან მიმართებაში 2,78-ს გადაა-

ჭარბა), ჯერ არავის უნახავს. არადა, რა ვქნათ, როგორ დავეხმაროთ უთანასწორო ბრძოლაში გასავეთებულ ჩვენს ეროვნულ ვალუტას?

მიმანია, რომ ამაზე ფიქრით, ქვეყანაზე ზრუნვით ისედაც გასავათებული ხელისუფლება დამატებით აღარ უნდა გადავალალოთ, მით უფრო, რომ, როგორც თავად აცხადებს, ლარი „თავისუფალ ცურვაზე“ მიშვებული და მისთვის ხელის შეშლა არ ივარგებს. მთავრობას, რა თქმა უნდა, შეუძლია ჩინოვნიკებს პრემია-დანამატებით შემციროს და ამით ლარს მდგომარეობა შეუმსუბუქოს, მაგრამ ეს სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. რადგან ხელისუფლებაში მომუშავენი ერთეულები არიან, პენსიონერები კი ასიათასეულები, ბაზარზე ზეგავლენისთვის აჯობებს ისევე პენსიები შემცირდეს, ყოველ შემთხვევაში, არ გაიზარდოს მაინც.


ამის რეალიზებაში ხელისუფლებას ხელი რომ არ შეეშალოს, ხალხი უნდა დაუფდგეთ მხარში,

რადგან ვიცით, რომ ლარის აქილევსის ქუსლი მჭლე ეკონომიკა და მერყევი ბაზარია, სადაც დოლარი შესანიშნავად სარგებლობს, ბაზრის სტაბილურობისთვის ჩვენვე უნდა ვიბრძოლოთ.

რით და როგორ? რაც არ უნდა გაგვიძნელებს, უნდა შემოვიღოთ ბაზარში სიარულის გრაფიკი. უფრო სწორად, ამ გრაფიკის დანახვაზე დედაქალაქის მერიამ უნდა იზრუნოს და მის ზუსტად დაცვაზე პასუხისმგებლობაც აიღოს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ გამოწვლილებები (შეღვათები ჩინოვნიკებისა და პარლამენტარებისთვის, პროდუქტების შესაძენად მეზობლებისთვის ფულის გატანების ფაქტები, სხვა დარღვევები), თორემ ბაზარი ისევე ჭარბი ლარით გაიჭყიება და კვლავაც კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადავეჩვიოთ მავნე ჩვევას - ხელფასის და პენსიის აღების დღეს ბაზარში გავარდნას.

მერწმუნეთ, თუ საბაზრო გრაფიკს დავიცავთ, ჩვენც დავისვენებთ და მთავრობასაც დავასვენებთ, შესაძლებლობას მივცემთ, გათავისუფლდეს ლარის დევალაციისა და ინფლაციის მოსალოდნელი საფრთხისგან, ფრთხილად და აუქციონებლად, ყოველწლიურად 20 ლარით მაინც გაზარდოს პენსიები (არამც და არამც მეტი, თორემ ლარი ისევე გაუფასურდება), ფეხზე წამოაყენოს ეკონომიკა და გარანტირებული წარმატებით შეხვდეს 2020 წლის არჩევნებს.


რაც შეეხება სავალუტო კრიზისებში გამობრძმედილ გაიძვერა დოლარს, დარწმუნდება, რომ საქართველო ხელნამოსაკრავი ქვეყანა არ არის, მოეშვება ლარისთვის ზემოდან ყურებას, ჩვენც ტემურად ვამოკრთმევს ხელს და ურთიერთპარტნიორულ თანამშრომლობას შესთავაზებს...



ოტარ ხარათოლაშვილი

ინტერნეტი ფაშასა და ხევისურეთს „იპყრობს“

ფშაში, უკანა ფშაში, პირაქეთა ხევისურეთში, არხოტში, არდოტსა და გუდამაყრის ხეობებში ინტერნეტი ხელმისაწვდომი იქნება. აღნიშნულის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობასთან დაკავშირებულ ანგარიშშია ნათქვამი.



ანგარიშის თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით, ინტერნეტსაზოგადოებისა (ISOC) და საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციის ჩართულობით, დაიწყო ფშავ-ხევისურეთისა და გუდამაყრის სათემო ინტერნეტიზაციის პროექტი, რომლის ფარგლებშიც დაიფარება ფშავის, უკანა ფშავის, პირაქეთა ხევისურეთის, არხოტის, პირიქითა ხევისურეთის, არდოტისა და გუდამაყრის ხეობები.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

აუქციონის ჩატარების შესახებ

გადაცემათა კოლოფის რევიზია, წესრიგშია მოსაყვანი საბურჟუაზი სისტემა, გამოსაცვლელია ძრავის ზეთი, საბარგულის კარი ხმაურობს, გამოსაცვლელია რეზინები და კიდევ მოითხოვს სხვადასხვა მცირედ დაზიანებულ დეტალებისა და კვანძების შეკეთებას.

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ენგურჰისის“ საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგინოს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

საგარანტიო თანხის „ბე“-ს, და აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის საბანკო რეკვიზიტებია: შპს „ენგურჰისი“, ს/კ 251716371, VTB ბანკის კოდი UGEBGE22, ანგარიშგების ანგარიში GE97VT660000003403403.

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი, რუსთაველის №90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰისის“ ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა 2019 წლის 05 ივნისის 10 სთ-დან 2019 წლის 12 ივნისის 13 - სთ-მდე, ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება 2019 წლის 12 ივნისს 14 საათზე, მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ენგურჰისთან“ შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მიუხედავად არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი

არ დაუბრუნდება. აუქციონში მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, (შეგვიძლია მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰისის“ ოფისი);
- „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
- იურიდიული პირისათვის - ამონაწერი სამეწარმეო რეგისტრიდან;
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ხონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწილის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰისის“ ოფისი, ტელ. 595 227050

შპს ენგურჰისის აუქციონის მომსახურება

კალოსნობა

„ბრინჯაოს“ სტარტი

ფიზიკის დედაქალაქ სუვაში მიმდინარე მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე კალოსნობაში საქართველოს ნაკრებმა პირველი მედალი მოიპოვა. კვარცხლბეგზე ასვლა არჩილ მალაყმაძემ მოახერხა, რომელმაც მცირე „ბრინჯაო“ 73 კგ-მდე წონით კატეგორიაში დაისაკუთრა.

მალაყმაძემ ატაცში 136 და 142 კილოგრამიანი შტანგა დაძლია და, მართალია, 145 კგ-ს ვერ გაუმკლავდა, საქართველოს რეკორდი 2 კილოგრამით მაინც გააუმჯობესა და აღნიშნულ მოძრაობაში მე-3 ადგილი დაისაკუთრა.

ქართველმა ძალსამბა აკვრაში 163 და 168 კგ. დაძლია (მე-3 ცდაზე 170 კგ. ვერ ასწია) და ამ მოძრაობაში მე-9 შედეგი დააფიქსირა, ორჭიდის ჯამში კი მსოფლიო პირველობაზე მე-5 პოზიცია დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ არჩილი მე-3 ადგილზე გასულ თურქმენ მაქსად მერედოვს მხოლოდ 2 კგ-ით ჩამორჩა, ოქროსა და ვერცხლის მედლები კი, შესაბამისად, ამერიკელმა კლარენს კამინგსმა (337 კგ.) და მოლდოველმა მარინ რობუმ (320 კგ.) დაისაკუთრეს.



ვთქვათ ისიც, რომ მალაყმაძე კუნძულზე ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის მალხაზ ლომთაძისა და ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის ზურაბ ანთაურის ხელმძღვანელობით იმყოფება, რომელიც ბოლო წლებში არჩილს ავარჯიშებს.

მომავალ დღეებში ფიცარნაზე ლომია თებიძე (81 კგ.) ირაკლი ჩხეიძე (102 კგ.) და თორნიკე ტაბატაძე (+109 კგ.) გამოვლენ.

გიორგი შოთაძე

ძიუდო

ალკური მედლები

აშსტრიის ქალაქ ლაბნიცში გამართულ ახალგაზრდულ ევროპის თასზე ძიუდოსტებმა 1 ოქროსა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.



ტურნირის ჩემპიონი მიხეილ ბეჭაური (90 კგ.) გახდა, რომელმაც ექვსივე მეტოქეს იპონით აჯობა, „ბრინჯაოებს“ კი დიმიტრი გოჩილაძე (81 კგ.), ილია სულამანიძე (100 კგ.) და საბა ინანიევი (100 კგ.) დაეუფლნენ.

უმედიოდ დარჩნენ ნიკა ზოიძე, ლევან ფსუტური, გიორგი შერაზაძე (ყველა - 81 კგ.), ილია ბათურიშვილი, ნიკა შერმაზანაშვილი, ნიკა ხარაზიშვილი (ყველა - 90 კგ.), გიორგი კარიაშვილი, ომარ საური, ჯაბა ქარელიშვილი, გიორგი ჩიქოვანი (ყველა - 100 კგ.), დავით მათიაშვილი და ამირან ნიქორიძე (+100 კგ.).

ვაჟთა გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა მე-4 ადგილი დაიკავა და რუსეთს (3 ოქრო, 5 ბრინჯაო), იაპონიას (1 ოქრო, 1 ვერცხლი, 2 ბრინჯაო) და ბრაზილიას (1 ოქრო, 1 ვერცხლი, 1 ბრინჯაო) ჩამორჩა.

კობა კოხანიძე

რბირო

ძარბაზის საკლუბო ფეხბურთის სახელოვანი ტრადიციები მის გამორჩეულ ლიდერთან - თბილისის „დინამოსთან“ ერთად ქუთაისის „ტორპედოს“, ლანჩხუთის „გურასას“ და ბათუმის „დინამოს“ უკავშირდება, რომლებიც თვითმყოფადი თამაშით მთელსაბჭოთა იმპერიაში შეუდარებლები იყვნენ, მაგრამ არანაკლებ დიდი პატივს იმსახურებენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მეორე ლიგის ბუფერულ ზონაში გამწვანებული ცხრა ქართული გუნდი.

დღეს ერთ-ერთ მათგანს - ტყიბულის „მეზახტეს“ გაგახსენებთ. იმერეთის ეს პატარა, ლამაზი ქალაქი საბჭოთა საფეხბურთო რუკაზე პირველად 60-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა. სხვადასხვა პერიოდში იქ უმუშავიათ სახელგანთქმულ მწვრთნელებს - ანდრო ჟორდანიას, გიგა ნორაკიძეს, გრიგოლ ანთაძეს, ანდრო ზაზროვს და სერგეი სალნიკოვსაც კი, რომელიც მოსკოვიდან ჩამოიყვანეს. ამ ყველაფრის სულისჩამდგმელი რაიკომის მაშინდელი თავკაცი კარლო ლომაძე გახლდათ. ქართული ფეხბურთის პატრიარქის ანდრო ჟორდანიას სამწვრთნელო მოღვაწეობა მეზახტეთა ქალაქში 1966 წელს დაიწყო, უკვე მომდევნო სეზონში კი შეგირდები საკავშირო გათამაშების „ბ“ კლასიდან „ა“ კლასში გადაიყვანა.

პატარა ქალაქის დიდი ფეხბურთი

ნა. ეს მოხდა დამატებით ტურნირში, რომელსაც ტყიბულმა უმასპინძლა, სადაც „მეზახტემ“ გროდნოს „ნემანთან“ (ბელარუსი), სუმგაითის „ფოლადთან“ (აზერბაიჯანი) და სომხურ „კაფანთან“ ბრძოლაში ღირსეულად დაიკავა პირველი ადგილი.



გულშემატკვიართა კერებში იყვნენ იუზა ჩხენკელი, ჯონი შარაშენიძე, ელგუჯა დავითულიანი, ბიძინა თოდაძე, ზურაბ მაზიაშვილი და სერგო აუშტროვი. ახალი სტადიონი ტყიბულში 1968 წელს გაიხსნა და პირველმატჩს 20 ათასი მაყურებელი დაესწრო. ვინც ტრიბუნებზე ვერ დაეცა, ხეებზე და ახლომდებარე სახლების

სახურავებზე მოკალათდნენ. მეზობელთა სასურველი სტუმრები იყვნენ ქუთაისის, თერჯოლისა და ზესტაფონის გულშემატკვიართა დიდი არმია. სწორედ კარლო ლომაძეს უნდა ვუთხაროთ იქაური სპორტის სახალისი, საცურაო აუზის და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ასუ-



ნებას, რომელიც მოგვიანებით - 1973 წელს ქალაქში მეორე კონია სტადიონის გახსნით დაგვირგვინდა. ტყიბულს საპატიო სტუმრებიც მრავლად ამშვენებდნენ - იპოლიტე ხვიჩია, ემანუილ აფხაიძე, თვით ფეხბურთის კარგო - ბორის პიჭაძე, რომელსაც სტადიონის გახსნის მატჩში ბურთის

თამაშში შეყვანის პატივი ხვდა, ხოლო რეპორტაჟი ჩვეული ოსტატობით მიჰყავდა ლეგენდარულ კომენტატორს კოტე მახარაძეს.

90-იანი წლების ნგრევის, უსამართლობის, განუკითხავობის წლების სუსტი ტყიბულის კონტა სტადიონსაც შეეხო, რომელიც მთლიანად განად-

გურდა და დღეს „მეზახტე“ ლიგა-3-ის უიმედო აუტსაიდერია. რატომაც მიეჩვენება ნარმატებული გუნდების დაკარგვას - საილუსტრაციოდ „ამერისა“ და „ზესტაფონის“ მაგალითების დასახელებაც კმარა, მაგრამ დასჯილი არავინ გვინახავს. დაისაჯნენ მხოლოდ ამ გუნდების ერთგული გულშემატკვირები. არ მინდა, რომ მათი ბედი ტყიბულელებმაც გაიზიარონ. საბედნიეროდ, ბოლოდროინდელი მოვლენები ოპტიმიზმის გარკვეულ საფუძველს გვაძლევს - შარშან შემსახტეთა ქალაქში მსკობრში ჩადგა ახალგაზრდობის ფეხბურთის სპორტის სახალხე და თითქმის მთლიანად მივიწყებული ხელბურთიც გამოცოცხლების გზას დაადგა. იქაური გუნდი წინლიანთა ლიგაში ნარმატებით თამაშობს.

რაც მთავარია, სტადიონის განახლებაზეც დაიწყეს ფიქრი. ვიმედოვნებთ, მალე ფეხბურთისთვისაც გამოინახება რესურსები და იქაურ სტადიონს კვლავ მიანყდება გულშემატკვიართა მოზღვავებული ნაკადი, რითაც ტყიბული, უკვე მერამდინედ, თავის სიტყვას იტყვის ქართული ფეხბურთის განვითარების საქმეში.

ბაჟან ჩხიძე, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე მესტაფონიდან

თაობა

მეხუთედ - თბილისში

სტარტი აიღო „ბასკონიას“ საკალათბურთო კემპმა, რომელიც საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციისა და ესპანურ კორპორაცია „სასკი ბასკონიას“ თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება. აღნიშნული კემპი 2015 წლიდან ყოველწლიურად ტარდება და წლეულს იგი მეხუთედ ეწყობა.

კემპის მონაწილეთა რაოდენობას და ასაკებს ესპანური მხარე განსაზღვრავს და წლეულს მასში დაახლოებით 100 მოზარდი მონაწილეობს. მონაწილეთა ასაკი 2004, 2005, 2006 და 2007 წლებში დაბადებულებზე განისაზღვრება და ვერის ბალის საკალათბურთო სასახლეში იმართება.

კემპის ჩატარებაში ქართველი მწვრთნელები ეხმარებიან. ამჯერად ესპანელ სპეციალისტებს ასისტენტობას მამუკა ტურაშვილი, ირაკლი მაისურაძე, გიორგი რაზმაძე და ირაკლი ჯანსოთელი უწევენ.

კემპის მონაწილეებს დაურიგდათ „ბასკონიას“ ტექნიკური სპონსორის, ფირმა KELME-ს სპორტული ამუნიცია, რომელიც ესპანელმა სპეციალისტებმა ჩამოიტანეს. ახალგაზრდა მოთამაშეები დაყოფილი არიან ასაკობრივ ჯგუფებად და მთელი დღის მანძილზე, დადგენილი გრაფიკით ვარჯიშობენ. მათ უმეტესობას აქამდე გამართულ „ბასკონიას“ კემპებშიც აქვთ მონაწილეობა მი-



კემპის მიზანი საუკეთესო, ახალგაზრდა, პერსპექტიული კალათბურთელების გამოვლენა და მათზე სამომავლო ზრუნვაა. „ბასკონია“ ხელშეკრულების საფუძველზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ატარებს ანალოგიურ კემპებს და რჩეულ მოთამაშეებს თავის გამოსაჩენად ესპანეთში, „ბასკონიას“ გენერალურ, ინტერნაციონალურ კემპზე ზაფხულის თვეებში იწვევს. ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ საქართველოში გამართული კემპიდან 16 ახალგაზრდას ესპანეთში, „ბასკონიას“ გენერალურ კემპზე წაიყვანენ, სადაც უკვე საბოლოოდ გადაწყდება, თუ რომელ მათგანს დაიტოვებენ და გააგრძელებენ მათთან მუშაობას.

კემპის ჩასატარებლად საქართველოში ყოველწლიურად ჩამოდიან ბასკი სპეციალისტები. წლეულს მათი რაოდენობა 3-ით განისაზღვრება, რომლებსაც

ლებული, თუმცა, ისინი ესპანელების მიერ დეტალურ შემოწმებას გადიან. ვარჯიშების გარდა მწვრთნელები დეტალურად ინიშნავენ თითოეული ახალგაზრდის მონაცემებს და მათი განვითარების შესახებ ნათელ წარმოდგენას იქმნიან.

კემპს ესწრება კორპორაცია „სასკი ბასკონიას“ აღმასრულებელი დირექტორი ხესუს ვასკესი, რომელიც საქართველოში არაერთხელ ყოფილა და მჭიდრო კავშირი აქვს საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან. ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოში აქამდე ჩატარებული „ბასკონიას“ კემპებიდან ესპანეთში, გენერალურ კემპზე 70-ამდე ახალგაზრდა წაიყვანეს, საიდანაც 10-ამდე „ბასკონიაში“ დარჩა და მთელი სეზონის მანძილზე ვარჯიშის შესაძლებლობა მიეცა.

ვიტალი ჯაფარიძე

სულთათანა

ალექსანდრე (ალიკა) ადამიანი

გარდაიცვალა ცნობილი მშენებელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი ალექსანდრე (ალიკა) ადამიანი. იგი დაიბადა 1937 წლის 23 ნოემბერს თბილისში. 1962 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი სამოქალაქო და სამრეწველო ობიექტების მშენებელი ინჟინრის სპეციალობით.



ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სამუშაოთა მწარმოებლად, შემდეგ კი სამშენებლო უზნის უფროსად.

1966 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მშენებლობის სამინისტროს სისტემაში, სამინისტროს სანარმოო-ტექნიკურ განყოფილებაში. შემდეგ კი სამშენებლო სამმართველოებში. იგი აქტიურად ჩაერთო თბილისის სამრეწველო ობიექტების, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საქმეში.

1974-1980 წლებში მუშაობდა ტრესტ „სპეცმშენის“ სამშენებლო სამმართველოში, ჯერ მთავარ ინჟინრად, ხოლო შემდეგ კი სამმართველოს უფროსად. ხელმძღვანელობდა ვარიან-ცხინვალისა და გუჯარეთ-ბორჯომის მაგისტრალური წყალსადენებისა და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობას აღმოსავლეთ საქართველოში – ხაშურში, ბორჯომში, გაჩიანში.

1980 წელს გადაწყვიტა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში საქმეთა მმართველის მოადგილედ მშენებლობის დარგში.

ქვეყნის მოქალაქე, თავდადებული, პროფესიონალი ღირსეულად ემსახურებოდა საქართველოსა და თბილისს.

ნათელში იყოს მისი სული.

მწუხარებას გამოვთქვამთ ბატონ ალექსანდრე (ალიკა) ადამიანის გარდაცვალების გამო და ვუსამძიმრებთ მის ოჯახს.

საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საინჟინერო-საგამომცემლო ფონდისა და მშენებელთა ფედერაციის სახელით

ნოდარ მიქაბერიძე, მირაზ ნიკოლაიშვილი, მალხაზ ბაღიაშვილი, ნოდარ ბრიგოლია, ვაჟა ნადირაშვილი, ანზორ ჩოგოვაძე, დათუნა დოლონაძე, როლანდ მიქაუტაძე, გიორგი ავსაჯანიშვილი, ომარ კიკნაძე, ომარ მარბვილაშვილი

ბახსენება

ნინო ქორჩილავა თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის კანცლერს, ბატონ თამაზ ვაჩაძეს მამის, ბატონი

ბორის პაჩაძის

გარდაცვალების გამო.

აზიურ ფაროსანასთან საბრძოლველად თერმულ ნისლს გამოიყენებენ

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მიზნით დასავლეთ საქართველოში თერმული ნისლით დამუშავება იწყება. 5 ივნისს, 21:30 საათზე, თერმული ნისლის ტექნოლოგიით დამუშავდება შემდეგი რეგიონების სოფლები: გურიის რეგიონი – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელი ქვემო აკეთი; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელი შუა ამაღლება; იმერეთის რეგიონი – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელი როდინაული; სამეგრელოს რეგიონი – აბაშის მუნიციპალიტეტის სოფლები: კეთილარი და სუჯუნა; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლები: ერგეტა, ორულუ და ცვანე.

სოფლების ინფორმირების პროცესში ჩართულნი არიან ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები. თერმული ნისლით ღონისძიებები მეფუტკრეებთან კოორდინირებული თანამშრომლობით დაიგეგმება და საჭიროების შემთხვევაში, იმ დრომდე გაგრძელდება, სანამ აზიური ფაროსანა გამოსაზამთრებელ ფაზაში არ გადავა. ღონისძიებების პარალელურად გრძელდება აქტიური მონიტორინგი, რომლის შედეგებიც აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო ცენტრის ელექტრონულ ბაზაში აისახება. მონაცემების ინტერაქტიულ რუკაზე ასახვა და განახლება ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე იგეგმება შენამავლით ღონისძიებები.



დავით სარალიძის ჯგუფური მკვლელობა: „ოქროს მოხე“ დაკავებულია!

დავით სარალიძის ჯგუფურად დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია მ.კ. – ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ ბორცვაძემ ბრიფინგზე განაცხადა.



„როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, შინაგან საქმეთა სამინისტრო უკვე რამდენიმე თვეა, პრაქტიკულად, შეუჩერებლად აწარმოებს ინტენსიურ გამოძიებას ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმიდან გამოყოფილ სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნული საქმის ფარგლებში დღემდე სხვადასხვა მუხლით 10-მდე პირია მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში.“

გამოძიებასთან თანამშრომლობის კუთხით არსებული სირთულეების მიუხედავად, შინაგან საქმეთა სამინისტრო მთელი ამ დროის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა მკვლელობაში მ. კ.-ს შესაძლო თანამონაწილეობის მიმართულებით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ, ჩვენ მოვიპოვეთ მტკიცებულებები, რომლებმაც გამოძიებას მ. კ.-ს მხრიდან მკვლელობაში თანამონაწილეობის საფუძვლიანი ეჭვი გაუშყარა.

სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებამ, რომლითაც გ.ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ დავით სარალიძის ჯგუფურად მკვლელობაში, კიდევ

ერთხელ დაადასტურა გამოყოფილი საქმის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების სისწორე, გამოძიებას გაუმყარა პოზიცია და შექმნა დამატებითი მტკიცებულებებით საფუძველი დავით სარალიძის მკვლელობაში მ. კ.-ს თანამონაწილეობის შესახებ. შესაბამისად, 2019 წლის 4 ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, ჯგუფურად, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის ჩადენის ბრალდებით, მოსამართლის განჩინებით დაკავებულია მიხეილ კალანდია.

ლენო, მა, მაპატიე, რომ ვერ დაგიპატივებ... მაგრამ უკვე გვიანია!..

თბილისში, ტრაგიკულად დაღუპული 15 წლის გოგონა ელენე გვარჯალაძეა. შვილის გარდაცვალების ფაქტს სოციალურ ქსელში გოგონას მამა, გიორგი გვარჯალაძე ეხმაურება: გიორგი გვარჯალაძის მეუღლე ტელეკომპანია „მესტროს“ პოპულარული გადაცემის „ტოროლას“ ცნობილი წამყვანი ლულუ კახიანია.

მიყვარხარ – წერს ელენეს მამა სოციალურ ქსელში.

ცნობისთვის, თბილისში 15 წლის გოგონა საკუთარი საცხოვრებელი კორპუსის მე-7 სართულის ფანჯრიდან გადავარდა და დაიღუპა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

„ლენო, მა, მაპატიე რომ ვერ დაგიპატივებ. ახლა ყველაფერს მივცემდი ერთი ჩახუტებისთვის, მაგრამ უკვე გვიანია...“

ქვიფს და ნაკინკლავებას მკვლელობა მოჰყვია



სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბოდბისხევში 36 წლის ბექა ჭაბაშვილი მოკლეს.

როგორც ცნობილი გახდა, ბრალდებული მოკლულის მეგობარია, რომელიც უკვე დაკავებულია. ისინი დაბადების დღეზე იმყოფებოდნენ, რა დროსაც მათ შორის ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. ჭაბაშვილს სასიკვდილო დაზიანებები სავარაუდოდ, ბლაგვი საგნით აქვს მიყენებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით დაიწყო.

კიდევე ერთი ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დაგეგმვა

საბრძოლველად ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ – სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტზე ორი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულმა, დიდი ოდენობით არაკანონიერი მატერიალური საარგებლოს მიღების მიზნით, ორი კომპანიის სახელით განახორციელეს ფიქტიური ოპერაციები, კერძოდ, გამოწერილი იქნა ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა 17 885 000 ლარის ღირებულების მომსახურების ფიქტიურ განევაზე, რითაც ერთ-ერთმა კომპანიამ მიიღო 2 728 220 ლარის ოდენობის ყალბი ჩათვლა.

ტარდება შესაბამისი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები დანაშაულებრივ ქმედებაში შემჩნეული სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით.


Table with financial data and company information, including columns for company name, amount, and dates.

„საქართველო ოქროს სან- მისის სამშობლო“ – ასე დაარქვა საკუთარ გამოფენას თეკლა მე- ლაძემ, რომელიც ვენეციაში 2019 წლის 1-7 ივლისს გაიმართება.

ვენეციის პრესტიჟულ სა- ერთაშორისო ბიენალეზე ახა- ლგაზრდა თვითნასწავლი მხა- ტვარი საქართველოს პავილი- ონში პერსონალურ ექსპოზი- ციას წარადგენს. ის ვენეციის ბიენალეს ადმინისტრაციის პი- რადი მინვეციით მიემგზავრება. 18 წლის თეკლა მელაძე ყველა- ზე ახალგაზრდა მხატვარია, რომელიც საქართველოს სახე- ლით გამოსულა ვენეციის ბი- ენალეზე.

თეკლა მელაძე ევროპელმა ექსპერტებმა მას შემდეგ მიიწ- ვიეს, როდესაც ისინი საქარ- თველოში ყოფნისას პირადად გაეცნენ თეკლას შემოქმედებას და მის მიერ შემოთავაზებულ ახალ მიმდინარეობას ხელოვ- ნებაში, რომელსაც თეკლამ „მონოტონიზმი“ უწოდა. თეკ- ლას ექსპერიმენტების ჩატარე- ბაც კი მოუწია და ზოგიერთი პროფესიული საიდუმლოს გა- მჟღავნებაც, რათა დაერწმუნ- ნებინა ევროპელი ექსპერტები, რომ მისი ნამუშევრები კოლა- ჟი არ არის, ყველა ეფექტი მი- ლებულობს მხოლოდ ოქროს სა- ლებავით.

თეკლას „ოქროს სანმისის სამშობლო“



გასაოცარია ის, რომ რო- გორც კი თეკლამ ფუნჯი აიღო ხელში და ფერწერით დაინტი- რესდა, ის „მსოფლიო რეკორ- დებს“ ამყარებს. 2014 წელს, 13 წლის ასაკში ის გახდა პირვე- ლი ქართველი VIP - სტუმარი და არტ-ექსპოზიციის 37-

წლიან ისტორიაში ყველაზე პა- ტარა მონაწილე.

მისი ნამუშევრებით დაინ- ტერესდა მსოფლიოში ცნობი- ლი არტ-მენეჯერი Linda Ma- riano და თეკლას ნამუშევრები მოხვდა არტ-ექსპოზიციის 2014-2015 წლების კატალოგებ- ში. 17 წლის ასაკში მან შექმნა საკუთარი მიმდინარეობა „მო- ნოტონიზმი“ რითაც სპეციალ- ლისტიკის აღფრთოვანება გა- მოიწვია და 18 წლის ასაკში ის ვენეციის ბიენალეზე მიემგზავ- რება ადმინისტრაციის სპეცი- ალური მინვეციით.

ვფიქრობ, თეკლას ეს რე- კორდები დასაკარგი არ არის და „გინესის წიგნში“ შესატანი. რაც მთავარია, თეკლა არაჩვე- ულებრივი ადამიანია და სა- სიამოვნო რესპონდენტი.

თეკლას ნამუშევრების დათ- ვალიერებისას ადამიანს ბედ- ნიერების შეგრძნება ეუფლება. მე ასეთი შეგრძნება მანამდე მხოლოდ ერთხელ მქონდა, რო- დესაც მოსკოვში, ტრეტიაკო- ვის გალერეაში, მსოფლიოს სა- უკეთესო მუზეუმებიდან და კერძო კოლექციებიდან წარ- მოდგენილი, იმპრესიონისტე- ბის სრული გამოფენა დავათ- ვალიერე.

რეზა თოფური

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

ბ. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5 ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;

ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

გამომცემლობა: შპს „ახალი საუკუნე – გაზეთი საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ 599 53-76-16; 599 36-00-35 შპს „თანამდგომარეობა“- გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“ რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაქ)070.4(479.22) ს-323



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთილი მასალაზე დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაქლოა, მუდამ არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას. ვაჭიბვის სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ ვენი გაზეთია, აუსილავლად გამოიწერე, რასაც გამოიწერე, აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოელი ჟურნალისტები აჭარის შესახებ მასალას ამზადებენ

აჭარაში სამიზნე ქვეყნებიდან წამყვანი მედიასაშუალებების წარმო- მადგენლების მოწვევა გრძელდება. ამჯერად, რეგიონს აჭარის ტურიზ- მის დეპარტამენტის ორგანიზებით ლატვიელი ჟურნალისტები სტუმრო- ბენ, რომლებიც რეგიონის ტურისტული პროდუქტების შესახებ მასალებს ამზადებენ. ჟურნალისტების ობიექტივში უკვე მოხვდა ბათუმის ძირითა- დი ტურისტული ღირსშესანიშნაობები, ბოტანიკური ბაღი, გონიოს ცი- ხე-მუზეუმი და ქედის ტურისტული ადგილები თავისი საოჯახო მარნე- ბითა და სამზარეულოთი.

ჟურნალისტები რეგიონს 1 ივნისს ესტუმრნენ.



დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული მედია- ტურების შედეგად აჭარის შესახებ სტატიები და რეპორტაჟები ასევე მზადდება ისრაელის, ბე- ლარუსის, პოლონეთისა და დიდი ბრიტანეთის რეიტინგულ მედიასაშუ- ალებებში. წლის ბოლომ- დე, ჯამში 40-მდე მედია- ინფორმაციის ორგანიზება იგეგმება, რომლის ფარგლებშიც ტურის- ტული სააგენტოებისა და მედიის წარმომადგენლები რეგიონს 16 სამიზნე ქვეყნიდან ეწვევიან. რაც შეეხება, ბალტიისპირეთის ქვეყ- ნებს, სადაც რეგიონის პოპულარიზაცია 2017 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს წელს, პირველად ინიშნება ჩართული ფრენები ბათუმის მიმართულებით ტალინიდან და ვილინიუსიდან.

ზელენსკი რადან მაღალჩინოსნების უკანონო აქტივების კონფისკაციას მოითხოვს!

კანონმდებელი უკანონოდ გამოიძრებული მაღალჩინოსნების სისხლის სამართლებრივ დასჯას ითვალისწინებს.

სისხლის სამართლის კოდექსში ეს მუხლი მანამდე უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა. როგორც სასამართ- ლოში აცხადებდნენ, ეს მუხლი ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციას არღვევს.

ზელენსკის ადმინისტრაციის მიერ მომზადებული დოკუმენტის ტექსტი ჯერ არ გაუსაჯაროვებიათ, თუმცა ცნობილია, რომ პრე- ზიდენტის ინიციატივა მაღალჩინოსნებისთვის უკანონოდ მოპო- ვებული ქონების ჩამორთმევას ისახავს მიზნად.

ავსტრალიაში თოვლი მოვიდა

ავსტრალიის ჩრდილო- აღმოსავლეთით და ასევე სუბ- ტროპიკულ ნაწილში მდებარე ქუინსლენდის შტატში თოვლი მოვიდა. ამის შესახებ ინფორ- მაციას BBC ავრცელებს.



ავსტრალიის მეტეორო- ლოგიურმა სამსახურმა თოვლს „იშვიათი“ სანახა- ობა უწოდა. ამ შტატში ბო- ლოს 2015 წელს მოთოვა.

მეტეოროლოგიურმა სამსახურმა იცხადებდა 1000 კილომეტრის ჰორიზონტზე მო- სახლეობას შესაბამისი ინსტრუქციები მიაწოდა. თოვლს თან ახ- ლავს ძლიერი წვიმა და ქარი, შესაბამისად მოსახლეობას სახ- ლებში დარჩენისკენ მოუწოდეს.


ავსტრალიაში ივნისი ზამთრის დასაწყისად ითვლება. ამ წელს ავსტრალიაში ყველაზე ცხელი ზაფხული დაფიქსირდა, რომელ- საც შეუქცევადი პროცესების სახით წყალდიდობა, გვალვა და ხანძრები მოჰყვა.

დღეში 5 ფინჯანი ყავის დალევა გულზე უარყოფითად არ მოქმედებს

მამის მოყვარულებს შეუძლიათ, დღიური დოზა გაზარდონ, რადგან ახალი კვლევის თანახმად, ყავა გულზე უარყოფით გავლენას არ ახდენს.

შარშან ჩატარებული კვლევები აჩვენებდა, რომ ბევრი ყავა არტერიულ წნევაზე უარყოფითად მოქმედებდა, რის გამოც ყავის მოყვარულებს მისი რაოდენობის შემცირებას სთხოვდნენ.

8, 000 გამოკითხულის თქმით, დღეში 5 ჭიქა ყავის დალევა უფრო ნაკლებად საზიანოა, ვიდრე – 1 ჭიქაზე ნაკლები.



ლონდონის უნივერ- სიტეტის მკვლევარებმა 8,412 ადამიანი სამ ჯგუფად დაჰყვეს – ისინი, ვინც დღეში ჭიქაზე ნაკ- ლებს სვამენ; ადამიანები, რომლებიც 1-დან 3 ჭი- ქამდე სვამენ. ასევე, გა- მოკითხულებს შორის იყო ადამიანთა ჯგუფი, რომელიც სამ ჭიქას და სამზე მეტი რაოდენობის ყავას მიირთმევს.

	უცხოური ვალუტის კურსი: აშშ დოლარი - 2.7793; ევრო - 3.1081; ბრიტანული გირანა სტერლინგი - 3.5150; 100 რუბლი - 4.2516; თურქული ლირა - 0.4734; აზერბაიჯანული მანათი - 1.6308; 1000 სომხური დრამი - 5.7962.	აივნისი 5 ივნისისთვის ადრიატიკის სპარტიკალი: ბარა - ლაპი +19, ღვინო +36 მთიანი რაიონები - ლაპი +13, ღვინო +34 დასავლეთი სპარტიკალი: ბარა - ლაპი +17, ღვინო +33 მთიანი რაიონები - ლაპი +16, ღვინო +36 თბილისი: ლაპი +22, ღვინო +35	დავითიკაპით, მოგვწერეთ: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge
-------------------------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------